ოპოზიციის საარჩევნო სია A2

შევარდნაძე პოსტშევარდნაძისტულ ეპოქაში A3

ექოსკოპი A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 17 ივნისი, 2003 წელი. №164 (376)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### დებორა ჯონსი: "დამკვირვებლები რომ ჩამოვლენ, გვიან იქნება..."

"დიდი ბრიტანეთი საქართველოს არჩევნებზე დამკვირვებლებს გამოგზავნის, მაგრამ აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ფუნდამენტი სამართლიანი და გაუყალბებელი არჩევნების ჩასატარებლად ახლა, მიმდინარე პერიოდში უნდა მომზადდეს, თორემ დამკვირვებლები რომ ჩამოვლენ, მაშინ ყველაფერი გვიან იქნება..." – ყოველი შემთხვევისთვის გვაფრთხილებს ინგლისის ელჩი საქართველოში დებორა ჯონსი.

A3

## ეკონომიკა

### ავტოავარიაში დაზარალებულთა დაზღვევა სათუო ხდება

სავალდებულო დაზღვევის ფონდი სადაზღვევო კომპანიებისაგან შენატანების ათიდან ოც პროცენტამდე გაზრდას ითხოვს. საქმე ეხება ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას.

A4

## უცხოეთი

### ირანი მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში

თეირანში მიმდინარე საპროტესტო აქციების პარალელურად, ვაშინგტონსა და მსოფლიოს სხვა უძლიერესი სახელმწიფოების დედაქალაქებში ირანთან ურთიერთობის პოლიტიკას განსაზღვრავენ და ამ ქვეყანაში შესაძლო სცენარების განვითარებაზე მსჯელობენ.

A5

## საზოგადოება

### ბლოკადა თბილისურად

ვიცით, რომ სახელისუფლებო ბლოკი თქვენთან შეხვედრას გეგმავს, ისიც ვიცით, რასაც გეტყვიან, მაგრამ არ დაუჯეროთო, - განუცხადეს საკრებულოს წევრებმა უხელფასოდ დარჩენილ მასწავლებლებს.

A6

## სამართალი

### პრეზიდენტის შენიშვნის შემდეგ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება

გუშინ ვეტერან გვარდიელთა ადვოკატების შუამდგომლობა, რომლითაც ისინი პატიმართა გათავისუფლებას ითხოვდნენ, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ არ დააკმაყოფილა, რითაც გენერალური პროკურატურის მოთხოვნა ძალაში დატოვა.

A7

## ექოსკოპი

### მთავრობა მეცნიერებათა აკადემიას იბრიყვებს

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | ☼ |
| ქუთაისი | 32 | ☼ |
| ბათუმი | 29 | ☁ |
| სოხუმი | 29 | ☼ |
| ფოთი | 30 | ☁ |
| თელავი | 29 | ☼ |
| ზუგდიდი | 32 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.5399 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.6105 |
| რუბლი | 0.0706 |

# ყველაზე ავანტიურისტული პროექტი

## საქართველოსთვის მთავარია, აფხაზეთს რუსეთთან საზღვარი არ ჰქონდეს

ანა კანდელაკი

**"ყველაზე ავანტიურისტული პროექტი,"** – ასე უწოდებენ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკუთარ იდეას ახალი პროექტის ავტორები ვახტანგ მდივანი და სიმონ კობეშავიძე.

ვახტანგ მდივანი - რამდენიმე აკადემიის აკადემიკოსი, სამხედრო ეკოლოგიის საკითხებში თავდაცვის მინისტრის კონსულტანტი, ნატო-ს სერტიფიცირებული ექსპერტი განსაკუთრებულ სიტუაციებში, თავდაცვის მინისტრისა და ამერიკის სამხედრო დეპარტამენტის მიერ რეკომენდირებულია ბიო-ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პროექტის მთავარ კოორდინატორად.

სიმონ კობეშავიძე – პოლკოვნიკი, თავდაცვის მინისტრის აპარატის უფროსის მოადგილე.

"24 საათის" მკითხველი ამ პროექტს უკვე იცნობს. პროექტის ავტორები აფხაზეთის ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელმწიფოს შექმნის იდეით გამოდიან.

დღეს "ავანტიურისტული, უპრეცედენტო გეგმის" ავტორები "24 საათისა" და პროექტ "თქვენი აფხაზეთის" სტუმრები არიან.

შეგახსენებთ, რომ პროექტი "თქვენი აფხაზეთი", გაზეთ "24 საათის" ხელშეწყობით, აწყობს ყოველკვირეულ შეხვედრებს, სადაც ქართველი და უცხოელი ექსპერტები, კულტურისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები აფხაზეთის საკითხზე მსჯელობენ და კონფლიქტის მოგვარების საკუთარ ხედვას აყალიბებენ. ვახტანგ მდივანის და სიმონ კობეშავიძის ახალი იდეა "თქვენი აფხაზეთის" მიმართ პირველი გამოხმაურებაა - ისინი პროექტ "თქვენი აფხაზეთის" კოორდინატორს თორნიკე ბერიშვილს თავად დაუკავშირდნენ.

*"თქვენი აფხაზეთის" ინტერნეტ-საიტის მისამართია:* *www.yourabkhazia.rustavi2.com*

*e-mail: public@24hours.ge*

*ტელ: 20-24-24*

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქართული „კლასიკური კოქტეილი" თბილისის ოპერის სცენაზე




*პაატა ბურჭულაძე, თავის მეგობრებთან ერთად, დღეს ქართველ მსმენელს დიდ ზეიმს ჰპირდება.*

# ამერიკა და ისლამისტი მებრძოლები საქართველოში

"ნიუ იორკ ტაიმსი"

აქაური მცხოვრებნი ამბობენ, რომ არაბებისა და შუა აზიელების 15-კაციანი ჯგუფი თვეების მანძილზე ცხოვრობდა წყნარ, ორსართულიან შენობაში. მათ ირგვლივ, ტყეებში გაფანტული იყო ასობით მებრძოლი, რომლებმაც რუსეთის საზღვრის სიახლოვეს მდებარე ეს ხეობა ისლამიზმის ბუდედ აქციეს.

აქ მცხოვრები მებრძოლთა უმრავლესობა, მშვიდობიან დევნილთა მსგავსად, ხეობაში ჩეჩნეთიდან, კავკასიონის თოვლიანი უღელტეხილების გავლით მოხვდა. ჩეჩნეთში ისინი რუსეთიდან გამოყოფისათვის იბრძოდნენ, პანკისში კი ისვენებენ და ახალი ბრძოლებისათვის ემზადებიან. მებრძოლები იცვლებოდნენ, სავარაუდოდ, ისინი რუსეთში მიდიოდნენ, მათ ნაცვლად მოდიოდნენ სხვები, რომლებიც აქ ვარჯიშობდნენ და ბრძოლისათვის ემზადებოდნენ.

შემდეგ, გასული შემოდგომის ერთ დღეს, აქაურების თქმით, არაბებმა და შუა აზიელებმა გუდა-ნაბადი აიკრეს და წავიდნენ. რამდენიმე თვეში მათ კვალს ასეულობით მებრძოლი გაჰყვა. ისინი უკან არ დაბრუნებულან.

გაგრძელება A2 გვერდზე




*პანკისის ხეობაში ისლამისტების გამოჩენას არაბული წარწერების მომრავლება მოჰყვა.*

# ელის თუ არა რუსეთს ოლიგარქთა ბუნტი?

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

რუსეთის პოლიტიკურ სცენაზე ბოლო დროს მომხდარი მოვლენები ცხადყოფენ, რომ რუსი მემარჯვენეები და პარლამენტში წარმოდგენილი სხვა დემოკრატიული ძალები სულ უფრო აშკარად აკრიტიკებენ ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკას და ნელ-ნელა მის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ქმნიან.

ახალი ფორმაციის პოლიტიკოსები ხაკამადა, ნემცოვი და იავლინსკი რუსეთის პრემიერის კასიანოვისა და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული რუსი ოლიგარქების კრიტიკას იწყებენ. რუსეთის ევროპეიზაციის მომხრე პოლიტოლოგების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთი კატასტროფის წინაშე დგას, რადგან პრეზიდენტ პუტინის მომხრეთა, ანუ "პიტერელთა" სამხრეებიანი ლეგიონი უძლურია პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნებულ რუს ოლიგარქებთან ბრძოლაში. რუსი ოლიგარქები, რომლებიც ელცინისდროინდელ "ოჯახს" ეკუთვნიან, პუტინის ძალაუფლებას დამხობით ემუქრებიან, თუ ის მათი თამაშის წესებს არ მიიღებს.

გაგრძელება A5 გვერდზე

# რადიაქტიურ ნივთიერებათა ტრანზიტი

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება"*
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

*ორშაბათს, ქართველი სამართალდამცველების მიერ ტაქსის საბარგულში რადიაქტიური ნივთიერებების აღმოჩენა ცხადყოფს, რომ საქართველოს გავლით ორმაგი დანიშნულების პროდუქციის, მათ შორის ფეთქებადსაშიში და რადიაქტიური ნივთიერებების მეზობელ სახელმწიფოებში მოხვედრის მაღალი ალბათობა არსებობს. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამის გამო, საქართველოს ხელისუფლებამ, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციით, მარტის ბოლოს ორმაგი დანიშნულების პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტ-იმპორტის შესახებ კანონები გაამკაცრა.*

გაგრძელება A2 გვერდზე

# პრეზიდენტობა ნინო ბურჯანაძეს ნაკლებად ხიბლავს

გიორგი ასანიშვილი

*რა სტატუსით იმყოფებოდა ნინო ბურჯანაძე 7-15 ივნისს ამერიკის შეერთებულ შტატებში? კითხვა, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივია, მასზე პასუხი კი - ერთმნიშვნელოვანი: რა თქმა უნდა, როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თუმცა აქ, შეიძლებოდა, წერტილი არ დაგვესვა და წინადადება ასე დაგვემთავრებინა: ... და როგორც 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების ერთ-ერთი შესაძლო კანდიდატი. მართალია, ამერიკიდან დაბრუნებული ნინო ბურჯანაძე ამ კუთხით საუბარს თავს არიდებს, მაგრამ რაღაც მინიშნებებს მაინც აკეთებს.*

გაგრძელება A2 გვერდზე

# საგაზაფხულო სესია ბოლო დღეებს ითვლის

გიორგი ასანიშვილი

*გიორგი ბარამიძეს გუშინ, ეტყობა, "ანგარიში აერია". მის მიერ ბიუროს სხდომაზე გაკეთებული განცხადების თანახმად, "საქართველოს პარლამენტს ორი პარასკევიღა დარჩა". თუ ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარეს საგაზაფხულო სესია ჰქონდა მხედველობაში, მაშინ საკანონმდებლო კორპუსს ერთი "პარასკევი" რჩება "გადასაგორებელი", ხოლო თუ ბარამიძე პარლამენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე დარჩენილ "პარასკევებს" გულისხმობდა, ამ შემთხვევაში, საკანონმდებლო ორგანო ჯერ კიდევ საკმაოდ "დღეგრძელად" წარმოჩინდება. თუმცა, ცხადია, რომ საშემოდგომო სესიის დროს, გაგანია წინასაარჩევნო პერიოდში კანონშემოქმედებისთვის არავის ეცლება და, ამდენად, მთელი საკანონმდებლო დატვირთვა ამ კვირაზე მოდის - 20 ივნისს ("ბოლო პარასკევს") საგაზაფხულო სესია ოფიციალურად დაიხურება.*

ბოლო სასესიო კვირა უხმაუროდ ნამდვილად არ ჩაივლის. მის დღის წესრიგში სამი ისეთი საკითხი დევს, რომელთაგან თითოეულს პარლამენტის "აფეთქება" შეუძლია.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ექოსკოპი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

კულუარები

# ოპოზიციის საარჩევნო სია

როგორც ამბობენ, ბოლო ერთი თვის განმავლობაში ოპოზიციის სიებში ადგილების გადანაწილების გარკვეული ვარიანტი მომწიფდა. პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ეს ვარიანტი კიდევ შეიძლება შეიცვალოს. საკმაოდ გათვითცნობიერებული წყაროს ინფორმაციით, ბოლო ვარიანტის მიხედვით, ოპოზიციის გაერთიანებაში "ტრადიციონალისტების" ადგილი აღარ გამოიძებნა. ამ ხმას, გარკვეულწილად, ალბათ, თავად ასთიანის გუნდის ქცევაც უმაგრებს საფუძველს. "ტრადიციონალისტებს" დიდად არც ოპოზიციის მიერ მოწყობილ 3 ივნისის აქციაზე უაქტიურიათ და საბოლოოდ იმ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის პრეზენტაციაც ვერავინ დაასწრო, რომლის მიხედვითაც მაჟორიტარ დეპუტატებს შეიძლება უფლებამოსილება ავტომატურად გაუგრძელდეთ. არადა, ეს ვარიანტი კარგა ხნის განმავლობაში სწორედ სახელმწიფო კანცელარიიდან მაჟორიტარი დეპუტატებისთვის მიგდებულ სატყუარად ითვლებოდა.

კულუარული ინფორმაციით, "ნაციონალები" და "ახალი მემარჯვენეები" საარჩევნო სიის 35-35 პროცენტის გადანაწილებაზე შეთანხმდნენ, "დემოკრატებს" კი 25 პროცენტი დაუტოვეს. ამ გეგმის მიხედვით, ლამის ნახევარი პარლამენტი ოპოზიციის წარმომადგენლებით უნდა იყოს დაკომპლექტებული. თუმცა, შეთანხმებისამებრ, 5 პროცენტი ბოლო წუთამდე პარლამენტის თავმჯდომარისთვის იყო გადანახული "ოქროს მარაგად". ნინო ბურჯანაძემ გადაწყვიტა, ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატად დაბრუნდეს მომავალი მოწვევის პარლამენტში. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი გაერთიანებული ოპოზიციის სიაში ადგილსა და, შესაბამისად, პარლამენტში თავისი ხალხის გაყვანაზე უარს იტყვის. მით უფრო, თუ საკონსტიტუციო ცვლილებები გავიდა და დღევანდელ მაჟორიტარებს ავტომატურად გაუგრძელდათ ვადა (საკონსტიტუციო ცვლილების მისაღებად საჭირო 157 ხელმოწერიდან, ასათიანის განცხადებით, უკვე 120 დეპუტატის ხელმოწერაა შეგროვებული).

ერთი შეხედვით, გაურკვეველიც კია, თუ ვინ უნდა ჩაწეროს ნინო ბურჯანაძემ წინასაარჩევნო სიაში თავისი გუნდის წარმომადგენლად. ინფორმირებული წყაროების ცნობით, ბურჯანაძეს სიაში ჩასაწერად ორი კაცი ჰყავს შეგულებული. პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი და გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე დავით სალარიძე. ბოლო დროს სალარიძეზე "დემოკრატებიც" აცხადებენ პრეტენზიას.

# ოპოზიციის ლიდერები სიის შუაში

## "ნაციონალების" ახალი ინიციატივა

მერაბ მეტრეველი

მიხეილ სააკაშვილი გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერობაზე უარს ამბობს, – ასეთი შინაარსის განცხადება გააკეთა გუშინ კოტე კემულარიამ. კემულარიას თქმით, "ნაციონალები" ამ ნაბიჯზე ოპოზიციის ერთიანობის შესანარჩუნებლად მიდიან.

**"ნაციონალური მოძრაობა" არის ყველაზე რეიტინგული პარტია და სააკაშვილი - ყველაზე რეიტინგული ლიდერი, ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, გაერთიანებულ ოპოზიციას ერთი ლიდერი ჰყავდეს. ოპოზიციის ყველა ლიდერს აქვს შანსი, მაჟორიტარული არჩევნები მოიგოს, ამიტომ მათ თავისუფლად შეუძლიათ, სიის შუაში ჩაეწერონ. მიმაჩნია, რომ ლიდერები, რომლებიც მაღალი რეიტინგისანი არიან, გაგებით მოეკიდებიან ამ საკითხს და დღეიდან ყოველგვარ საუბრებს - რომ ოპოზიციაში მთავარი პრობლემა პირველობაა - ბოლო მოეღება. ოპოზიციას ლიდერთა თანავარსკვლავედი ეყოლება. სწორედ ეს იქნება იმის გარანტი, რომ ხელისუფლებას დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ვაიძულოთ,"** – განაცხადა გუშინდელ ბრიფინგზე კემულარიამ.

"ნაციონალების" ამ ინიციატივას მათი პარტნიორი "დემოკრატები" სიხარულით ხვდებიან, ოღონდ ლიდერების სიის შუაში მოთავსების იდეა, რბილად რომ ვთქვათ, მათში გაურკვევლობას იწვევს. **"ძალიან კარგია, თუ ჩვენი კოლეგები იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ამბიციები უნდა მოთოკონ. ეს დემოკრატიული ძალების გაერთიანებას ხელს შეუწყობს. რაც შეეხება ლიდერების სიის შუაში ჩაწერას, უაზრობა მგონია. თუ კონკურენცია არ უნდათ, ამ ნაბიჯით მაინც ვერაფერს გააწყობენ, რადგან, ვთქვათ, თუ ათიდან დაიწყება ათვლა, მერე შეიძლება იმაზე წავიდეს დავა, ვინ იქნება მეთერთმეტე და ვინ - მეთორმეტე. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ლიდერები სიის თავში არიან. ხალხმა უნდა იცოდეს, ვის სიას აძლევს ხმას,"** – განუცხადა "24 საათს" გია ბარამიძემ.

რაც შეეხება "ახლებს, მათი ერთ-ერთი ლიდერი, ლევან გაჩეჩილაძე "ნაციონალების" ამ გამოსვლას ეჭვის თვალით უყურებს. **"არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რომელი იქნება. რა თქმა უნდა, პირველი არ უნდა იყოს კონკრეტული ლიდერი, მერე, მეხუთე იქნება ვინმე, თუ მეოცე - არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ისე, ასეთ თემებზე მას შემდეგ უნდა ვილაპარაკოთ, რაც სია შეთანხმდება, მანამდე ასეთი განცხადებები მხოლოდ საკუთარი თავის პიარია და მეტი არაფერი,"** – გვითხრა ლევან გაჩეჩილაძემ.

# მთავრობა თათბირობს, ბიუჯეტი კი ირღვევა

გუშინ, გვიან ღამით, სახელმწიფო მინისტრთან გამართულ თათბირზე, ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა განიხილეს. ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა საბიუჯეტო ხარჯების 85 მილიონი ლარით შემცირების თაობაზე კიდევ ერთხელ გააცნო ინფორმაცია. თათბირზე სავალუტო ფონდის მისიის რეკომენდაციების შესრულებაზეც იმსჯელეს. სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ საფინანსო უწყებებს კონკრეტული დავალებები მისცა რეკომენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად.

როგორც ცნობილია, 22 ივნისს ფონდის მისია საქართველოს ეწვევა. ქვეყნის მთავრობას კვლავ შეუსრულებელი რჩება სავალუტო ფონდის რამდენიმე რეკომენდაცია, მათ შორის აჭარიდან საბიუჯეტო თანხების გადმორიცხვა და ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა. მთავარ პრობლემად ისევ ბიუჯეტის პარამეტრების შესრულება რჩება. რაც შეეხება ხარჯების 85 მილიონი ლარით შემცირებას, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე მიიჩნევს, რომ ეს მაჩვენებელი კიდევ 20 მილიონით უნდა გაიზარდოს. თავად სავალუტო ფონდი კი მთავრობას 2003 წლის ბიუჯეტის 113 მილიონი ლარით კორექტირებას ურჩევს.

გუშინდელ თათბირზე პურის ბაზარზე არსებული მდგომარეობაც განიხილეს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ და ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა თათბირზე ... ალნიშნული ინფორმაცია სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძემ "24 საათთან" საუბრისას კატეგორიულად უარყო.

*24 საათი*

## პანკისის ხეობაში ჩეჩენ ლტოლვილთა ხელახალი რეგისტრაცია დაიწყო

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პატრონაჟით პანკისის ხეობაში ჩეჩენ ლტოლვილთა ხელახალი რეგისტრაცია დაიწყო. რეგისტრაციას აწარმოებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სპეციალური ჯგუფი, მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით. ... მიმდინარე წლის აპრილის მონაცემებით, პანკისის ხეობაში სულ 4205 ჩეჩენი ლტოლვილი ცხოვრობდა, მათგან 150-მა, სხვადასხვა მიზეზების გამო, თბილისში გადმონაცვლა. **ინტერ-პრესი**

## საერთაშორისო საბჭოს დელეგაცია თბილისში კონსულტაციებს ატარებს

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი საერთაშორისო საბჭოს (ISAB) დელეგაციის წევრებს შეხვდა. ... **ინტერ-პრესი**

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი იუწყება, რომ გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებისა და რუსი სამშვიდობოების ერთობლივი პატრულირება კოდორის ხეობაში უახლოეს ხანებში აღდგება. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** ნატო-ს პროგრამის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში გუშინ ვენგრიაში საერთაშორისო სამხედრო-საკომუნიკაციო სწავლებები "Cooperative best effort-2003" დაიწყო. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორხევის სამხედრო ბაზაზე ... "ვაზიანის" ... **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი ძალოსნობაში, 28 წლის გიორგი ასანიძე 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ... **პრაიმ-ნიუსი**

**თბილისი.** რუსეთში საქართველოს საელჩოს განცხადებით, რუსულ მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია ... სინამდვილეს არ შეეფერება. **მედია-ნიუსი**

# პრეზიდენტობა ნინო ბურჯანაძეს ნაკლებად ხიბლავს

პირველი გვერდიდან

გუშინ გამართულ ბრიფინგზე ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია და საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩენილ დროში თითოეულმა პოლიტიკოსმა ძალიან ბევრი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ამ არჩევნებამდე ქვეყანა ნორმალურად მივიდეს. **"სწორედ მაშინ გამოჩნდება, ვინ არის მზად თავისი კანდიდატურის დასაყენებლად, ვის როგორი რეიტინგი და მხარდაჭერა ექნება. დღეს კი მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და არა მგონია, საქართველოს მსგავსი ქვეყნის პრეზიდენტობა სახარბიელო იყოს - როდესაც გადასაწყვეტია აფხაზეთის, სამაჩაბლოს და კიდევ უამრავი სხვა პრობლემა, ძალიან დიდი გამბედაობაა საჭირო ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად,"** - "მონომახის ქუდის" სიმძიმე აკრთობს პარლამენტის თავმჯდომარეს.

პრეზიდენტობისთვის აუცილებელ "მონაცემებზე" საუბრისას, ბურჯანაძე აღნიშნავს, რომ პოლიტიკოსის წონას ყოველთვის არ განაპირობებს მისი თანამდებობა. სპიკერის განცხადებით, არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც გარკვეული დროის განმავლობაში ოფიციალური თანამდებობა არ უკავიათ, მაგრამ მაინც მაღალი რეიტინგი აქვთ, მაშინ, როდესაც ზოგიერთი, ვისაც მაღალი პოსტი უკავია, საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით ვერ სარგებლობს.

ბურჯანაძე არ უარყოფს, რომ ამერიკის პოლიტიკურ წრეებში მისი პერსონის მიმართ ინტერესი ნამდვილად იყო, მაგრამ რა თვალსაზრისით, მისი სამსჯელო და გასახილველი არ არის. ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით, ამჟამად ის სხვა ამოცანებით არის დაკავებული და საპრეზიდენტო ამბიციები არ აწუხებს: **"ამ ეტაპზე არ ვაპირებ პრეზიდენტობისთვის ბრძოლას. ახლა ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილების ღირსეულად ჩამთავრება. რა მოხდება 2005 წელს, მომავალი გვიჩვენებს."**



ბესო გულაშვილის ფოტო

*ნინო ბურჯანაძე: "რა მოხდება 2005 წელს, მომავალი გვიჩვენებს."*

**"ზოგიერთმა პარლამენტარმა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მყოფმა არაკეთილსინდისიერმა ადამიანმა ბევრი გააკეთეს იმისთვის, რომ პარლამენტი აბსოლუტურად ქმედითუუნარო ორგანოდ წარმოეჩინათ, რომელიც ვერაფერს და არაფერს აკეთებს. არადა, შედარებითი ანალიზი რომ გაკეთდეს, თუ რომელი სახელისუფლებო შტო უფრო უკეთ მუშაობს და უკეთესად ასრულებს თავის ფუნქციებს, სრულიად განსხვავებული სურათი წარმოჩინდება,"** - კანონშემოქმედთა კორპუსის მუნდირს იცავს ბურჯანაძე, რომლის მტკიცებითაც, გარდა იმისა, რომ განვლილ ოთხწლეულში პარლამენტმა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი კანონი მიიღო, არ ყოფილა მეტ-ნაკლებად სერიოზული პრობლემა თუ საკითხი, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს ყურადღების მიღმა დარჩა.

ვინაიდან პარლამენტის თავმჯდომარის ამერიკული ვოიაჟი ქართულ მასმედიაში საკმაოდ ფართოდ გაშუქდა, გუშინდელ ბრიფინგზე ნინო ბურჯანაძეს, ამ კუთხით, ბევრი აღარაფერი დარჩა სათქმელი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ საკითხზე ყურადღების გამახვილება მან მაინც საჭიროდ მიიჩნია.

პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, ამერიკელები შეშფოთებულები არიან საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობით და აცხადებენ, რომ სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, მათ შორის - საქართველო-აშშ-ს შორის პარტნიორული ურთიერთობების დონე. ბურჯანაძე, ამასთან, განმარტავს, თუ რა კუთხით აინტერესებთ ოკეანის გაღმა 2 ნოემბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნები. **"ამერიკელები არ აპირებენ, გვიკარნახონ, ვინ ავირჩიოთ, ეს ამომრჩევლების გადასაწყვეტია, ოღონდ, ვაშინგტონში მიაჩნიათ, რომ მოსახლეობას აუცილებლად უნდა მიეცეს არჩევანის გაკეთების უფლება და თავისუფლება. ისე, ამერიკაში საქართველოს საპარლამენტო არჩევნებით არანაკლები დაინტერესებაა, ვიდრე თავად საქართველოში,"** - ირწმუნება პარლამენტის თავმჯდომარე.

ბუნებრივია, ამერიკაში მისი ვიზიტის დროს, აფხაზეთის თემატიკასაც საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმო. შეერთებული შტატებიდან დაბრუნებული ბურჯანაძე კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივას მეტი ოპტიმიზმით უყურებს და მიიჩნევს, რომ **"აფხაზეთის პრობლემის დარეგულირებასთან დღეს გაცილებით ახლოს ვართ, ვიდრე სულ ცოტა ხნის წინათ."** მეტიც, მისი ვარაუდით, **"ამ მიმართულებით გარკვეულ პოზიტიურ გააქტიურებას მომავალშიც უნდა ველოდოთ."**

# საგაზაფხულო სესია ბოლო დღეებს ითვლის

პირველი გვერდიდან

ესენია: საარჩევნო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, აფხაზეთის თემა და საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელიც მინისტრთა კაბინეტის შემოღებას, ქვეყნის რეგიონალიზებასა და ორპალატიანი პარლამენტის დაფუძნებას გულისხმობს.

თუმცა, შეიძლება ისე არ იწვიმოს, როგორც ქუხს - აღნიშნული საკითხების განხილვა დღესვე ეჭვის ქვეშ დგას.

**"აფხაზეთის საკითხის განხილვის დროს პარლამენტში უნდა მობრძანდეს ან პრეზიდენტი შევარდნაძე, ან სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსჯელობას აზრი არა აქვს. თუ განსჯა საფუძვლიანი იქნება, რაშიც ძალიან მეპარება ეჭვი, მაშინ ვთხოვ ოპოზიციური ფრაქციების ლიდერებს, პარლამენტის სხდომების ბოიკოტი დროებით შეწყვიტონ და თითო წარმომადგენელი მაინც დაასწრონ საკითხის განხილვას,"** - აცხადებს გიორგი ბარამიძე. მისი განცხადების მიხედვით გამოდის, რომ პლენარული სხდომების ბოიკოტირების ტაქტიკაზე ოპოზიციას საბოლოოდ არ უთქვამს უარი და, ამდენად, ბურთი და მოედანი კვლავ უმრავლესობას რჩება.

დღეისთვის დაგეგმილი, აფხაზეთის საკითხის განხილვისას, სიხალვათე იქნება არა მარტო სხდომათა დარბაზში, არამედ სამთავრობო ლოჟაშიც. დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ავთანდილ ჯორბენაძის პარლამენტში მისვლა - როგორც ცნობილია, სახელმწიფო მინისტრი საკანონმდებლო ორგანოს თავისი სტუმრობით მაინცადამაინც არ ანებივრებს. ასეთ პირობებში, საკითხავია, კანონმდებელთა კორპუსი მათ გარეშე ისურვებს თუ არა აფხაზეთის საკითხზე დებატების გახსნას.

ასევე საეჭვოა, რომ ცესკო-ს დაკომპლექტების წესის გარშემო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის უკვე დიდი ხნის მანძილზე უშედეგოდ მიმდინარე მოლაპარაკებებში რაიმე გარღვევა მოხდეს. ამ საკითხზე კონსენსუსის მიღწევის გარეშე კი საარჩევნო კოდექსის ფასი კაპიკია - ცესკო ხომ არჩევნების მთავარი "სისხლძარღვია".

კიდევ უფრო სათუოა ის, რომ შალვა ნათელაშვილის მიერ ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს პარლამენტში 157 მხარდამჭერი გამოუჩნდება. მითუმეტეს, აკაკი ასათიანის განმარტებით, პროექტის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების წყალგამყოფი უმრავლესობასა და ოპოზიციაზე კი არ გადის, არამედ განსხვავებული დამოკიდებულება თავად უმრავლესობისა და ოპოზიციის შიგნით არსებობს.

ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, პარლამენტის საგაზაფხულო სესიის ბოლო კვირა ისეთივე აღმოჩნდეს, როგორიც დღემდე მრავლად გვინახავს - ცოტა საქმე, მეტი ხმაური.

# რადიაქტიურ ნივთიერებათა ტრანზიტი

პირველი გვერდიდან

საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის პირველ ეტაპზე, რუსი სამხედროების მიერ დაცარიელებულ ყაზარმებში ქართველი ჯარისკაცების შესახლება, სპონტანურად, ყოველგვარი წინასწარი სამუშაოების ჩატარების გარეშე ხდებოდა, რის გამოც ზოგიერთ სამხედრო ნაწილში რადიაციული კერის არსებობა მხოლოდ პირად შემადგენლობაზე მავნე ზემოქმედების შემდეგ გამომჟღავნდა. საქართველოში დღემდე ახსოვთ ლილოს სასაზღვრო საგუშაგოზე მომხდარი ისტორია, როდესაც სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მიმოფანტული რადიაქტიური ნივთიერება "ცეზიუმის" კაფსულით თერთმეტმა ჯარისკაცმა მიიღო დასხივება. ამას მოჰყვა სტრონციუმის ეპოპეა, როდესაც თვის დროზე ხუდონჰესის მშენებლობის კავშირით უზრუნველსაყოფად განკუთვნილ სააკუმულიატორო ბატარეებში მოთავსებული კაფსულები მოსახლეობაში გაიბნა.

ბოლოს, მიმდინარე წლის 17 თებერვალს ვაზიანის სამხედრო ნაწილიდან რადიაქტიური ნივთირება ცეზიუმ 137-ით დატვირთული სამი კონტეინერი გაქრა, მიუხედავად იმისა, რომ წყაროს არსებობა დიდი ხნის დაფიქსირებული იყო და ის დაცვის ქვეშ იმყოფებოდა. მაშინვე გამოითქვა ვარაუდი, რომ მომწამვლელმა ნივთიერებებმა, სწორედ იმ მარშრუტით დატოვეს ქვეყანა, რომლითაც აპირებდნენ ბოროტმოქმედები გუშინ რადიაქტიური საშუალებების, მათ შორის სტრონციუმ-90-ის და ცეზიუმ-137-ის გატანას.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი საშიში პროდუქციის უკანონოდ გატანის შესახებ, საკუთრივ საქართველოში ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი. მხოლოდ შარშან, ისიც დასავლეთის პრესაში გაჟონა ინფორმაციამ პანკისის ხეობაში წარმოებული "რიცინის" შესახებ, რომლითაც ტერორისტები "ბინძური ბომბების" დამზადებას ცდილობდნენ. შესაბამისად, გუშინდელი ფაქტი კიდევ ერთხელ მიიპყრობს საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას. ექსპერტები განსაკუთრებით იმით დაინტერესდებიან, თუ საიდან შეიძლებოდა მოხვედრილიყო ეს კონტეინერები საქართველოში, როდესაც შესაბამისი სამსახურები დიდი ხნის წინ ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში ყველა რადიაქტიური წყარო მისხალ-მისხალ იყო აღრიცხული.

მეტიც, გასული წლის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა სპეციალური ბრძანებულებით ორმაგი დანიშნულების პროდუქციაზე ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის წესის შემუშავება მოითხოვა. პარალელურად, ადრე ამგვარი პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზირების წესით საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო დაინტერესდა.

პირველ აპრილს საელჩოს მრჩეველმა კეიტ პოლიაჩიკმა სპეციალური აუდიენცია სთხოვა ეკონომიკის მინისტრ გიორგი გაჩეჩილაძეს და, კანონპროექტის დეტალურად შესწავლის შემდეგ, დაჰპირდა მას, რომ ორმაგი დანიშნულების მქონე პროდუქციის (მათ ჩამონათვალში კი შედის - პიროტექნიკური საშუალებები, ბირთვული რეაქტორები, რადიოლოკაციური აპარატურა, იზოტოპების დამშლელი მოწყობილობები, სითბოსგამომყოფი ელემენტები) ექსპორტზე კონტროლის განხორციელებაში ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ.

მაშინ ზოგიერთი დამოუკიდებელი ექსპერტი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ამერიკის დაინტერესება სამხედრო და ორმაგი დანიშნულების ექსპორტ-იმპორტის რეჟიმით საქართველოში, მხოლოდ მეთოდოლოგიური დახმარების სურვილით არ იყო ნაკარნახევი და იგი ერაყში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებსაც უშუალოდ უკავშირდებოდა. მეტიც, არსებობდა მოსაზრება, რომლის თანახმად, თეთრი სახლი ფლობდა გარკვეულ ინფორმაციას საქართველო-სომხეთ-ირანის გავლით რადიაქტიური ნივთიერების ტრანზიტის შესახებ და სურდა, გადაეკეტა ეს არხი სადამ ჰუსეინის სულთმობრძავი რეჟიმისთვის.

საქართველოს ტერიტორიაზე ორმაგი დანიშნულების პროდუქციის მოძრაობით ამერიკის დაინტერესებას, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი "გლობალურ პროცესებს" უკავშირებდა: **"ეს დაინტერესება უკავშირდება "მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს", როცა სხვადასხვა დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფები გააქტიურებულები არიან და შეიძლება, ისინი შეეცადონ იარაღის, მომწამვლელი ნივთიერებების, ორმაგი დანიშნულების მსგავსი პროდუქციის გადატანას."**

თავისთავად ის ფაქტი, რომ სამართალდამცველებმა გუშინ აღკვეთეს ამ კონტეინერების საქართველოდან გატანის მცდელობა, შეიძლება გარკვეულ პროგრესად ჩაითვალოს. მაგრამ გამოძიება მხოლოდ ამაზე არ უნდა გაჩერდეს და დაადგინოს, თუ ვინ დგას ამ სახიფათო ექსპორტ-იმპორტის უკან.

# ამერიკა და ისლამისტი მებრძოლები საქართველოში

პირველი გვერდიდან

**"ერთ დილას გავიღვიძე და აქ აღარავინ დამხვდა, ყველა წასული იყო,** - ამბობს ვალოდია ცხოვრებოვი, ადგილობრივი ფერმერი, რომელიც არაბი მებრძოლების სიახლოვეს ცხოვრობდა, – **ისინი კარგი ბიჭები იყვნენ, არც სვამდნენ და არც ეწეოდნენ".**

პანკისის ხეობიდან ისლამისტების წასვლა ბუშის ადმინისტრაციის გამარჯვება იყო. ადმინისტრაცია ამტკიცებდა, რომ გასულ წელს ხეობა ალ-ქაიდას ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა. ამ საფრთხესთან გამკლავებაში საქართველოს დასახმარებლად, ვაშინგტონმა საქართველოში მწვანე ბერეტები მიავლინა, რომლებიც საქართველოს არმიას წვრთნასა და აღჭურვაში დაეხმარნენ.

გასული აგვისტოდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ქართულმა დანაყოფებმა პანკისში ოპერაცია დაიწყეს, ხეობაში შეფარებულ მებრძოლთა რიცხვი 700-დან 50-მდე შემცირდა – ამტკიცებენ ქვეყნის ხელისუფლება და აქ მყოფი დასავლეთელი დიპლომატები. ისინი, ისევე როგორც ეუთო-ს მისია, რომელიც საზღვრის მონიტორინგს აწარმოებს, ამბობენ, რომ საზღვარზე მიმოსვლაც, პრაქტიკულად, შეწყდა.

საქართველოს ხელისუფლების მტკიცებით, ხეობაში 30 კაცზე მეტი დააკავეს, ძირითადად - არაბები და ჩეჩნები. შემდგომში მოხდა მათი დეპორტაციაც იმ ქვეყნებში, საიდანაც ისინი მოვიდნენ – რუსეთში, საფრანგეთში, იაპონიაშიც კი.

საქართველოს ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობის პირმა განაცხადა, რომ 13 არაბი მებრძოლი აშშ-საც გადასცეს. არაბები ხეობაში დააკავეს და მათ ბრალად ედებოდათ ჩეჩნების მხარდაჭერა. რა ბედი ეწიათ მათ გადაცემის შემდეგ, უცნობია.

**"ჩვენ ისინი გადავეცით და მორჩა",** - გვითხრეს საქართველოს მთავრობაში.

თბილისში ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები გადაცემის ფაქტზე კომენტარს არ აკეთებენ. 11 სექტემბრის შემდეგ ბუშის ადმინისტრაციამ ასეულობით უცხოელი დააკავა ისე, რომ მათთვის არც ბრალდება წაუყენებია და არც ადვოკატის აყვანის უფლება მიუცია. მათ სახელებს ადმინისტრაცია არ ახმაურებს იმ მოტივით, რომ ისინი "მოწინააღმდეგე მხარის მეომრები" არიან.

რა ბედი ეწია ასეულობით მებრძოლს, რომლებმაც ხეობა დატოვეს, უცნობია. სწორედ ეს აყენებს ეჭვის ქვეშ ოპერაციის საბოლოო წარმატებას. პანკისელები ამბობენ, რომ მებრძოლთა უმეტესობა ჩეჩენი იყო და მას შემდეგ, რაც საქართველომ მათ თავშესაფარზე უარი უთხრა, ისინი რუსეთში დაბრუნდნენ. მებრძოლთა ნაწილი, საზღვრის გადალახვისას, რუსმა ჯარისკაცებმა მოკლეს.

კაცმა რომ თქვას, პანკისის გაწმენდისაკენ მიმართული ქართულ-ამერიკული მცდელობა, ჩეჩნური ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიადაც იქცა, ხოლო ვაშინგტონი სერიოზულად გაეხვია ადგილობრივი პოლიტიკის ხლართებში. თითქმის ყველა შეფასებით, პანკისელი მებრძოლების დიდი უმრავლესობა ჩეჩენი იყო. მართალია, საკმაოდ გაჟღენთილნი იყვნენ რელიგიური ექსტრემიზმით, მაგრამ ისინი დასავლეთს არაფერს ერჩოდნენ, მათი მთავარი სამიზნე რუსეთი იყო.

რუსეთის პრეზიდენტი პუტინი თვეების განმავლობაში იმუქრებოდა, რომ ჩეჩენი მებრძოლების წინააღმდეგ თავის ჯარებს პანკისში გააგზავნიდა. საქართველომ, რომელიც აგრესიის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, გასულ წელს დახმარებისათვის ამერიკას მიმართა.

საქართველოს მთავრობაში ამბობენ, რომ ქვეყანაში ამერიკელი ინსტრუქტორების შემოსვლამ პირდაპირ გააცოფა რუსეთის პრეზიდენტი. ის ხომ საქართველოს თავისი გავლენის სფეროდ მიიჩნევს. თუმცა, ახლა აგრესიის საფრთხემ უკვე ჩაიარა.

მართალია, პანკისში ჩატარებული სამხედრო ოპერაციის შედეგად, შესაძლებელი გახდა რამდენიმე პიროვნების დაპატიმრება, რომლებიც შესაძლოა, დაკავშირებულნი იყვნენ ალ-ქაიდასთან, მაგრამ ამავე დროს, ოპერაციამ მრავალი ჩეჩენის სიცოცხლეც შეიწირა. ჩეჩნებს მიაჩნდათ, რომ რეპრესიული რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ მათი სამართლიანი ბრძოლა ამერიკის თანაგრძნობას იმსახურებდა. პანკისის მერე ისინი ასე აღარ ფიქრობენ.

ერთ-ერთი ჩეჩენი ლტოლვილი, ასიმა იმადიოვა მწარე ღიმილით მივიდა ხეობაში სტუმრად მყოფ ამერიკელთან და უთხრა: **"სთხოვეთ მისტერ ბუშს, შეაჩეროს ომი ჩეჩნეთში. ჰკითხეთ ერთი, რატომ ზის პუტინთან ერთად ერთ ნავში?"**

პირველი ჩეჩენი მებრძოლები ხეობაში 1999 წლიდან, ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებასთან ერთად გამოჩნდნენ. თანდათან ხეობა იქცა თავშესაფრად ჩეჩენი მებრძოლებისათვისაც, რომლებიც ისვენებდნენ და გადაჯგუფებას ახერხებდნენ. აქედან გროზნომდე ფეხით სულ ორი დღის სავალია. საზღვრის გადაკვეთა კი უამრავი საცალფეხო ბილიკით შეიძლება. ხეობაში 6000-მდე ჩეჩენმა მოიყარა თავი, აქედან 1500 - შეიარაღებული მებრძოლი იყო.

საქართველოს მთავრობაში ამბობდნენ, რომ შარშანდელ ზაფხულამდე პანკისი, ფაქტობრივად, ჩეჩნეთის ტერიტორია იყო, სადაც ქართული ჯარები შესვლას ვერ ბედავდნენ.

აგვისტოში, როგორც რუსების, ისე ამერიკელების ზეწოლის შედეგად, ქართველებმა ხეობის გაწმენდა გადაწყვიტეს. ოღონდ, ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის ნაცვლად, მათ უფრო მშვიდობიანი გზა აირჩიეს. მთავრობის წარმომადგენლები შეხვდნენ სოფლების უხუცესებს და განუცხადეს, რომ მებრძოლები უნდა წასულიყვნენ.

**"ჩვენ არ გვინდოდა მათთან დაპირისპირება,** – ამბობს დავით ბაქრაძე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოდან, **- მაგრამ ჩვენ მათ ვუთხარით, რომ თუ ნებით არ წავიდოდნენ, მათი გაძევება მოგვიწევდა".**

ქართველებს არ გამოუყენებიათ "მწვანე ბერეტების" მიერ გაწვრთნილი ჯარისკაცები, მაგრამ ისინი ოპერაციის დაწყებამდე ხეობის შესასვლელთან სამხედრო ვარჯიშებს ატარებდნენ.

საქართველოს მთავრობაში არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ რა წინააღმდეგობას წააწყდნენ ჩეჩნების მხრიდან. თუმცა, იყო შემთხვევა, როდესაც მათ ჩეჩნების 30-კაციანი რაზმის ძალით გაძევება მოუწიათ საზღვარს იქით, სადაც მათი უმრავლესობა რუსების ტყვიის მსხვერპლი გახდა.

ამ დროს ქართველები ადასტურებენ იმასაც, რომ მათ ხელიდან გაუშვეს არაბი, რომელიც ალ-ქაიდასთან იყო დაკავშირებული. აბუ ჰაფსი ხეობაში ფინანსურ ოპერაციებს განაგებდა და სამხედრო ჰოსპიტალს მეთვალყურეობდა. ის ქართველებს დაუძვრა და, სავარაუდოდ, ჩეჩნეთში გადავიდა.

პანკისში მცხოვრებნი ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაყოლს, ძირითადად, ადასტურებენ. ადგილობრივი სკოლის დირექტორი, ჟორა შავლოხოვი ამბობს, რომ ჩეჩნები პირველად 18 თვის წინ გამოჩნდნენ და სკოლის შენობაში დაბინავდნენ. შავლოხოვი ამბობს, რომ მას ისინი არ მოსწონდა, მაგრამ ვერაფერს ეუბნებოდა.

მისი თქმით, ჩეჩნებს შორის ყველა ჯურის ხალხი იყო - ექიმები, იურისტები, ბანდიტები და ნარკომანები. მათ მიერ დატოვებული ნარჩენები დირექტორის მონათხრობს მოწმობს: სავარჯიშო აღჭურვილობა, შპრიცები და ცარიელი ამპულები.

**"რუსებმა ისინი საზღვარზე დახოცეს",** – ამბობს შავლოხოვი.

თბილისში აკრედიტებული დასავლელი დიპლომატი აცხადებს, რომ მის მთავრობას საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა მებრძოლთა გამოდევნის იმ მეთოდისა, რომელიც საქართველომ გამოიყენა. **"ჩვენთვის მთავარია ის, რომ ჩეჩენი მებრძოლები პანკისში აღარ არიან",** –აცხადებს იგი.

თუმცა, დიპლომატი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ხეობაში დარჩენილი 50-მდე მებრძოლის დასაკავებლად, საქართველოს მთავრობა უფრო აქტიურად არ მოქმედებს.

ჩეჩენ ლტოლვილებს კი სხვა სადარდებელი აქვთ. მათი ბანაკები სავსეა ადამიანებით, რომლებიც რუსულ ზარბაზნებს თოვლიანი მთებით გამოექცნენ და საქართველოში შემოაღწიეს. ისინი წუხან, რომ მსოფლიოს, განსაკუთრებით კი - ამერიკის მთავრობას, ალ-ქაიდა გაცილებით უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე მათი გაჭირვება.

**"ბუში ყველაფერს გააკეთებს, ოღონდ კი რუსეთთან პარტნიორობა შეინარჩუნოს,"** – ამბობს ბასლან გიდიევი, რომელიც ხეობაში სამი წლის წინ მოხვდა.

და მაინც, ისინი ამბობენ, რომ კმაყოფილები არიან მებრძოლების წასვლით.

**"ჩვენ გვიყვარს ისინი. მამაცი ადამიანები არიან,** - ამბობს რუსლან ნალაიევი, - **მაგრამ მათ გამოჩენას ყოველთვის საშიშროება მოაქვს თან. გვიხარია, რომ ისინი წავიდნენ".**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# დებორა ჯონსი: "დამკვირვებლები რომ ჩამოვლენ, გვიან იქნება..."

ვერიკო თევზაძე

*"დიდი ბრიტანეთი საქართველოს არჩევნებზე დამკვირვებლებს გამოგზავნის, მაგრამ აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ფუნდამენტი სამართლიანი და გაუყალბებელი არჩევნების ჩასატარებლად ახლა, მიმდინარე პერიოდში უნდა მომზადდეს, თორემ დამკვირვებლები რომ ჩამოვლენ, მაშინ ყველაფერი გვიან იქნება..." – ყოველი შემთხვევისთვის გვაფრთხილებს ინგლისის ელჩი საქართველოში დებორა ჯონსი.*



დებორა ჯონსი მისი ქვეყნის მმართველი პარტიის მოსახელე პარტიის ლიდერმა გულთბილად მიიღო.

**"ჩვენ შევთანხმდით ერთ საკითხზე - ძალიან ცოტა დარჩა საამისოდ, რომ ნოემბრის არჩევნებისთვის ბევრი რამ გაკეთდეს,"** – ინგლისელმა დიპლომატმა დელიკატურად მიმანიშნებელი კომენტარი გააკეთა მას შემდეგ, რაც დახურულ კარს მიღმა ლეიბორისტული პარტიის ლიდერს შალვა ნათელაშვილს ესაუბრა.

გუშინ შალვა ნათელაშვილმა, ჯონსის გარდა, საქართველოში ჩეხეთის ელჩს ირჟი ნეკვასილს უმასპინძლა. დიპლომატებთან შეხვედრის თემა, ტრადიციულად, ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები იყო. ნათელაშვილმა და ელჩებმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალ მოდელზე ისაუბრეს. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს იმ პრინციპზე, რომლის მიხედვითაც არჩევნების საბოლოო შედეგების გადამოწმება სასამართლო ორგანოებს ეკისრებათ.

ჯონსის თქმით, **"საქართველოში დემოკრატიული, ნორმალური არჩევნების ჩატარება საქართველომ უნდა უზრუნველყოს."**

შალვა ნათელაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის **"ნებისმიერი წარმომადგენლის პოზიციაში იგრძნობა დიდი შეშფოთება საქართველოში მოვლენათა არასასურველად განვითარების გამო. ისინი არ აკონკრეტებენ, რა შეიძლება გახდეს მოვლენათა კატალიზატორი, მაგრამ უცხოელი დიპლომატები ძალიან შიშობენ, საპარლამენტო არჩევნები საქართველოში არ გახდეს ის ნაპერწკალი, რომლიდანაც ალი აგიზგიზდება."**

თავად ნათელაშვილსაც ძალიან ეპარება ეჭვი, რომ არჩევნებმა უსისხლოდ ჩაიაროს. იგი რაღაც საერთოს ხედავს დღევანდელ დღესა და ზვიად გამსახურდიასდროინდელ პერიოდს შორის. **"დღეს საქმე გვაქვს გახლეჩილ ხელისუფლებასთან. დიდი სიყვარულიდან აღმოცენდა დიდი სიძულვილი... დაახლოებით, ისეთი ვითარებაა, როგორი გახლეჩილობა და დაპირისპირებაც შეინიშნებოდა ზვიად გამსახურდიას ბანაკში. მაშინ ძალაუფლებადაკარგულმა პოლიტიკოსებმა იარაღს წაატანეს ხელი..."**

გუშინდელ შეხვედრაზე პოლონეთის და გაერთიანებული სამეფოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები საქართველოში, შალვა ნათელაშვილს საერთაშორისო დამკვირვებლების გეგმით დადგენილი რაოდენობის გაორმაგებაზე დათანხმდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ელჩები ლეიბორისტული პარტიის ლიდერის თხოვნას გადასცემენ თავიანთ მთავრობებს, რომლებმაც დამკვირვებლების საქართველოში ვიზიტი უნდა დააფინანსონ.

# გია ასანიშვილის სვეტი

## კანცელარიისკენ მიმავალი "მესამე გზა"

**"ჩვენ არ წავალთ შევარდნაძის და აბაშიძის გზით, ჩვენ საკუთარი "მესამე გზით" ვივლით,"** - ბოლო წლებში სისტემატურად იმეორებდა ედპ-ს ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია.

**"შევარდნაძე, ფაქტობრივად, მაფიოზური კლანების პრეზიდენტია. ის არავის უნაწილებს ხელისუფლებას, არც პარლამენტს, რომელიც პრეზიდენტის დანამატია, და არც საკუთარ პარტიას... შემთხვევითი არ არის, რომ შევარდნაძის მფარველობის ქვეშ მყოფი "ფულის ოლიგარქები" და "აზროვნების ოლიგარქები" ერთმანეთს ვერ იტანენ, უფრო სწორად, იძულებულნი არიან, აიტანონ იმ იმედით, რომ ხვალ მთელი ძალაუფლება ან ერთ, ან მეორე მხარეს დარჩება,"** - ეს სიტყვები ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ ზუსტად ოთხი წლის წინათ, 1999 წლის 16 ივნისს წარმოთქვა. მაშინ ედპ-ს თავმჯდომარე, ოპოზიციონერ პოლიტიკურ პარტნიორებთან ერთად, ამტკიცებდა, არც შევარდნაძე გვინდა, არც აბაშიძე, ჩვენ საკუთარი, "მესამე გზა" გვაქვსო.

"მესამე გზაზე" სიარული, ედპ-სა და მისი ხელმძღვანელისთვის, ბოლოს, კანცელარიაში მისვლით დასრულდა. ამის შემდეგ სარიშვილი-ჭანტურია, უპირველესად, თავის პოლიტიკურ "მოდგმას" - ოპოზიციას - დაერია. სახელისუფლებო ბლოკის პირველი ლედის არც ერთი საჯარო გამოსვლა ისე არ ჩაივლის, ხელისუფლების ოპონენტები მომაკვდინებელ ცოდვებში რომ არ ამხილოს.

ისე, ოპოზიციის კრიტიკისას, ედპ-ს თავმჯდომარე მაინცადამაინც დიდ გამომგონებლობას ვერ იჩენს და ანტიშევარდნაძისტულ ბანაკს ზუსტად იგივე ბრალდებებს უყენებს, რაშიც ხელისუფლება, სულ ცოტა ხნის წინათ, თავად მას და მის პარტიულ თანამებრძოლებს ადანაშაულებდა.

**"ოპოზიცია ისეა დაბრმავებული ძალაუფლების წყურვილით, რომ მზად არის, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების შეკვეთები შეასრულოს და ქვეყანა დესტაბილიზაციის მორევში გადაჩეხოს";**

**"ოპოზიცია მეზობელი ქვეყნიდან იმართება და ფინანსებსაც იქიდან ღებულობს",** - როგორც აღვნიშნეთ, ყოფილი "ბრალდებული" დღეს უკვე თავად არის "ბრალმდებელი" და ექს-პარტნიორებს ნაცნობ "მუხლებს" უყენებს. აქვე, შეიძლება, ისიც ითქვას, რომ ოპოზიცია უფრო სულგრძელი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. იგი სარიშვილი-ჭანტურიას ბრალდებებზე თითქმის არ რეაგირებს და საპასუხო დარტყმებით არ პასუხობს. ალბათ, არა იმიტომ, რომ არგუმენტები არ მოეპოვება, არამედ უფრო იმის გამო, რომ საერთო წარსულს მეტ პატივს სცემს.

სხვათა შორის, ის ამბავი, რომ სარიშვილი-ჭანტურიამ "სახელმწიფოებრივად აზროვნება" დაიწყო და კანცელარიაში მოღვაწეობა გადაწყვიტა, მაინცადამაინც დიდ სენსაციად არც კი შეფასებულა: შევარდნაძესა და ედპ-ს ლიდერს შორის არალეგალურ თანამშრომლობაზე პოლიტიკურ წრეებში მანამდეც დადიოდა ხმები. სახელისუფლებო ბლოკში სარიშვილი-ჭანტურიას გამოჩენას ოპოზიციის ბანაკი ერთგვარი გაგებითა და თანაგრძნობითაც კი შეხვდა. "სხვა გზა არ ჰქონდა: არჩევნებში მარტო რომ გამოსულიყო, პარლამენტის გარეთ დარჩებოდა, ანტიშევარდნაძისტული ბლოკის შექმნის შემთხვევაში კი, ისეთ კვოტას არავინ მისცემდა, მისი პარტიული ამბიციები რომ დაეკმაყოფილებინა", - "ჭვრეტის უნარს უქებდნენ" და არჩევანს "უწონებდნენ" ედპ-ს თავმჯდომარეს.

სარიშვილი-ჭანტურიასა და მის თანაპარტიელებს თანდათან დამარცხებულის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდათ. მათი უკუსვლის პროცესი სტატისტიკითაც დასტურდება: 1992 წლის არჩევნებში ედპ-მ ამომრჩეველთა ხმების 22 პროცენტი მიიღო, 1995 წელს - 8 პროცენტამდე, 1999 წელს - 5 პროცენტამდე. დაუმატეთ ამას შიდაპარტიული კონფლიქტი, რომელიც ედპ-დან ზოგიერთი პოლიტიკოსის (მამუკა გიორგაძე, გიორგი კობახიძე, ჯონდი ბაღათურია, გელა კვაჭანტირაძე, ოთარ მელქაძე...) წასვლით დასრულდა, აგრეთვე, წარუმატებელი ალიანსი რესპუბლიკელებთან და ბესო ჯუღელის (ასევე ყოფილი "ედეპელის") გუნდთან. არც იმის დავიწყება ეგების, რომ ედპ-ს დასაკლავი დანა, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, თავად მისმა თავმჯდომარემ ალესა - სწორედ ირინა სარიშვილი-ჭანტურია იყო იმის ინიციატორი, რომ საარჩევნო თამასა 5-დან 7-პროცენტიან ნიშნულამდე აწეულიყო, რისი "წყალობითაც" ედპ პარლამენტს მიღმა დარჩა. ერთი სიტყვით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ხელში, ერთ-ერთი ავტორიტეტული და ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ორგანიზაციიდან, უმნიშვნელო და რიგით პარტიად "გარდაიქმნა". ამდენად, ასეთი პარტიის ხელმძღვანელის გადაწყვეტილება კანცელარიაში მისვლის თაობაზე, პრაგმატულ ნაბიჯადაც შეიძლება შევაფასოთ: ოპოზიციის სარეცელზე გმირულ სიკვდილს მან შევარდნაძის ოქროს გალიაში ჯდომა ამჯობინა.

ყოველივე სიახლე შეცდომებთან არის დაკავშირებული. ალბათ, ამიტომაც, ახალ გარემოში აღმოჩენილ სარიშვილი-ჭანტურიას ზოგჯერ ინტუიცია ღალატობს და არაადეკვატურ შეფასებებს აკეთებს. მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი აშშ-ში სულ ახალი დაწყებული იყო, როდესაც მან ოკეანის გაღმა ნინო ბურჯანაძის ვოიაჟი "წარუმატებლად" მოიხსენია. ახლა, როდესაც ამ ვიზიტის წარმატებაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია (ნინო ბურჯანაძის ამერიკული ვოიაჟი თავად პრეზიდენტმა შეაფასა წარმატებულად), მხოლოდ მკითხაობა შეიძლება იმაზე, თუ რამ განაპირობა სარიშვილი-ჭანტურიას შესაბამისი განცხადება: კანცელარიის კარნახით მოხდა ეს, აღმასრულებელი ხელისუფლების სურვილი გახმოვანდა თუ, უბრალოდ, ქალური შურის სინდრომმა იმუშავა. ასევე არადამაჯერებელი გამოდგა ედპ-ს ლიდერის მორიგი "სენსაცია" 1000 ჩეჩენი ბოევიკის საქართველოში შესაძლო შემოჭრისა და მათ უკან რუსეთის ჯარის შემოყოლის შესახებაც. მართალია, ამ "ნიუსმა" ორი დღის განმავლობაში იმუშავა, მაგრამ ბოლოს გაირკვა, რომ ძალოვნებისთვის დიდ სიახლეს არ შეიცავდა (ვალერი ხაბურძანია: "ასეთ ინფორმაციას კვირაში 5-10-ჯერ ვღებულობთ და ისინი არაერთხელ გაგვიხმოვანებია") და, როგორც ჩანს, თენგიზ კიტოვანისგან მომდინარეობდა...

**"ედპ მინისტრობისა და დეპუტატობის ტრამპლინობისთვის არ შექმნილა",** - ირწმუნებოდა ოთხი წლის წინათ "მესამე გზაზე" მდგარი ედპ-ს ლიდერი. დღეს იგი ასეთ მაღალ კატეგორიებზე უკვე აღარ საუბრობს. წარსულის მწარე გამოცდილებამ სარიშვილი-ჭანტურიას, ეტყობა, ბევრი რამ ხელახლა გაააზრებინა, მათ შორის, საკუთარი პარტიის როლი და დანიშნულება. ყოველ შემთხვევაში, "მაფიური კლანების პრეზიდენტის", აგრეთვე, "ფულის ოლიგარქებისა" და "აზროვნების ოლიგარქების" გარემოცვაში ისე მშვენივრად გრძნობს თავს, როგორც ბოროტი დედინაცვლის (ოპოზიციის) მარწუხებიდან თავდახსნილი და მეჯლისზე პრინცის გვერდით მყოფი კონკია. სამეფო კარის ლაქიებს ის, შესაძლოა, მართლაც ვერ იტანს, მაგრამ იძულებულია, ნაზოძები კვერთხი ატაროს, რათა გადამწყვეტ მომენტში, როდესაც **"მთელი ძალაუფლება ერთ, ან მეორე მხარეს დარჩება"**, სასახლის კედლებს მიღმა არ აღმოჩნდეს.

# შევარდნაძე პოსტშევარდნაძისტულ ეპოქაში

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს პრეზიდენტი თავს ისევ არ ღალატობს და, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დღეს შექმნილი ვითარება ამის საფუძველს პრაქტიკულად არ იძლევა, მაინც განსაკუთრებულად ოპტიმისტურად არის განწყობილი.*

## სახელისუფლებო ბლოკის ნათელ პერსპექტივებზე

საქართველოს პრეზიდენტს "სჯერა", რომ სახელისუფლებო კოალიციას "ახალი საქართველოსთვის" 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე გამარჯვების შანსი აქვს.

**"ეს კოალიცია, ჯერჯერობით, ერთადერთია, რომელმაც ქვეყანას პოზიტიური პროგრამა შესთავაზა,"** - განაცხადა პრეზიდენტმა ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში და მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებს დამკვირვებლებად ჩამოსვლა შესთავაზა.

## რუსეთიდან მოსალოდნელ საფრთხეზე...

ედუარდ შევარდნაძე დარწმუნებულია, რომ რუსეთი თავისი ტერიტორიიდან საქართველოში ჩეჩნური შეიარაღებული ფორმირებების შემოჭრას არ დაუშვებს, რადგან ამჯერად ასეთი გეგმების განხორციელება მის ინტერესებში არ შედის.

ამასთან, ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში შევარდნაძემ ისიც დარწმუნებით განაცხადა, რომ არც ჩეჩნები გადადგამენ ასეთ ნაბიჯს.

მისივე თქმით, უშიშროების სამინისტრო, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი და თავდაცვის სამინისტრო პრიორიტეტულ ყურადღებას აქცევენ პანკისის ხეობას, სადაც **"ქართული ძალოვნების გარდა, ვერც ერთი პირი ვერ ბედავს იარაღით გამოჩენას".**

ამასთან, პრეზიდენტმა **"მაინც საყურადღებო და ანგარიშგასაწევი უწოდა"** ედპ-ს ლიდერის, სახელისუფლებო ბლოკის სპიკერის ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მიერ გაკეთებულ განცხადებას.

## ისევ კომპრომისზე

საქართველოს პრეზიდენტს ისევ და ისევ მიაჩნია, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია საარჩევნო კოდექსის საკითხზე შეთანხმებას მიაღწევენ, ხოლო **"რადიკალთა ექსტრემიზმი, შანტაჟი, მუქარა, უსამართლო და უღონო ულტიმატუმები შედეგს ვერ გამოიღებს".**

**"ხელისუფლება მზად არის კომპრომისისთვის საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით, თუმცა კომპრომისი ნიშნავს ორმხრივ და არა ცალმხრივ დათმობას. კომპრომისი არც ერთ დემაგოგს არ უნდა აძლევდეს საშუალებას, მეორე მხარე - დამარცხებულად, საკუთარი თავი კი - გამარჯვებულად გამოაცხადოს",** – ამბობს იგი და დასძენს, რომ პარლამენტში წარდგენილია კანონპროექტი, რომელიც არჩევნების გაყალბების და ამომრჩევლის ნებისმიერი ფორმით თუ ხერხით მოსყიდვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებას ითვალისწინებს.

## ძალოვნებზე, რომლებიც ნდობას იმსახურებენ

პრეზიდენტი, ქვეყანაში გართულებული კრიმინოგენული ვითარების მიუხედავად, ძალოვანი მინისტრების შეცვლას არ აპირებს.

**"ქვეყანაში იდეალურად არავინ მუშაობს, თავად პრეზიდენტიც",** - აღიარებს ედურდ შევარდნაძე და ამბობს, რომ მოცემულ შემთხვევაში მას არავითარი საფუძველი არა აქვს, უნდობლობა გამოუცხადოს ძალოვან მინისტრებს.

შევარდნაძის თქმით, ისინი შეძლებისდაგვარად მუშაობენ, მაგრამ არის ისეთი სერიოზული პრობლემები, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებაა საჭირო. **"მათ შორის, უნდა მოხდეს ადამიანის გატაცებების, გახშირებული ყაჩაღობების და სხვა მძიმე დანაშაულებების აღკვეთა, როგორც წლების წინ ქვეყანაში შეიარაღებული პირების თარეშის აღკვეთა გახდა შესაძლებელი",** – დასძენს იგი.

ცხადია, იგი ტრეფიკინგის თემასაც გამოეხმაურა, რისი წყალობითაც აშშ-მ ოქტომბრისთვის დასასჯელთა სიაში საქართველოც შეიყვანა. მან განაცხადა, რომ ხელისუფლება მაქსიმალურად თვითკრიტიკული უნდა იყოს, როდესაც მეგობარი სახელმწიფო ურჩევს, ტრეფიკინგთან ბრძოლა გააძლიეროს.

## ოპოზიციისგან მომდინარე საშიშროებაზე

ედუარდ შევარდნაძე ქვეყანაში არსებულ მთავარ საშიშროებად ისევ ოპოზიციას მიიჩნევს და 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მოსახლეობას მოუწოდებს, არ აჰყვეს **"პოპულისტურ და დემაგოგიურ მოწოდებებს და არ გაიზიაროს რთული პრობლემების იოლად გადაწყვეტის ილუზია".**

მას მიაჩნია, რომ **"რადიკალურ ძალთა მოსვლა ხელისუფლებაში, თუნდაც - პარლამენტში, აუცილებლად განაპირობებს მყიფე სტაბილურობის დარღვევას და დესტაბილიზაციას. განსაკუთრებით საშიშია ეთნიკურ ჯგუფთა შორის თანხმობის დარღვევა და პოლიტიკურ დაპირისპირებაში ეთნიკური ელემენტის ჩართვა, რისი სიმპტომებიც უკვე გამოჩნდა",** - ამბობს ედუარდ შევარდნაძე და ამომრჩეველს მოძღვრავს, - **მოსახლეობამ არჩევანი უნდა გააკეთოს იმ უდიდესი გამოცდილების გათვალისწინებით, რაც განვლილი 10-15 წლის განმავლობაში შეიძინა ყველამ. უმთავრესი გაკვეთილი კი ის არის, რომ რადიკალურ ძალთა მხარდაჭერა დამღუპველია პატარა ქვეყნისათვის".**

## შევარდნაძე შევარდნაძის მომავალზე

მიუხედავად ზემოთქმულისა, საქართველოს პრეზიდენტი ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს, რომ იგი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პრემიერ-მინისტრობას არ აპირებს. **"არ იქნება არანაირი საკონსტიტუციო ცვლილებები და, შესაბამისად, არც მესამე ვადით საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, არც პრემიერ-მინისტრობას, არც ჩვეულებრივ მინისტრობას და, მით უმეტეს, პარლამენტის თავმჯდომარეობას არ ვაპირებ,** – განაცხადა შევარდნაძემ და პოლიტიკურ ძალებს ნინო ბურჯანაძის გაფრთხილებისკენ მოუწოდა, - **არის პარლამენტის საკმაოდ კარგი თავმჯდომარე და სჯობია, მას გაუფრთხილდნენ".**

რაც შეეხება თავად ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ მოღვაწეობას "პოსტშევარდნაძისტულ ეპოქაში": **"საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ისედაც უამრავი საქმე მექნება, მაგრამ თუ ვინმე კონსულტაციებისათვის მომმართავს, მზად ვიქნები, ნებისმიერს გავუწიო კონსულტაცია ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე".**

# ყველაზე ავანტიურისტული პროექტი

### საქართველოსთვის მთავარია, აფხაზეთს რუსეთთან საზღვარი არ ჰქონდეს

პირველი გვერდიდან

**- რამ განაპირობა თქვენი დაინტერესება აფხაზეთის თემით, საიდან გაჩნდა ამ პროექტის შექმნის იდეა?**

**სიმონ კობეშავიძე:** თავდაცვის მინისტრის მოთხოვნით, თავდაცვის სამინისტროს ყველა სტრუქტურას აფხაზეთის პრობლემატიკაზე აქტიური მუშაობა დაევალა. ბატონმა მინისტრმა ძალიან დიდი დიაპაზონის ფარგლებში ვარირების საშუალება მოგვცა: ნუ შეზღუდავთ თქვენს ფანტაზიას, განიხილეთ ყველა შესაძლებლობა, დაწყებული უაღრესად რადიკალურიდან, დამთავრებული ყველაზე ლოიალურით. გაშალეთ მთელი გამა თავისი დადებითი, უარყოფითი მომენტებით. სწორედ ამის შედეგად გაჩნდა ჩვენი გეგმა.

**ვახტანგ მდივანი:** ჩვენ კიდევ ბევრი რამ არ გვითქვამს, გვაქვს რამდენიმე დოკუმენტი, რომელსაც ვინახავთ, როგორც მძიმე არტილერიას. ამერიკელი კოლეგები, რომლებიც ევრაზიის კონტინენტს სამხედრო თვალსაზრისით კურაციას უწევენ, ხშირად გვეუბნებიან: მოგვეცით რაიმე კონკრეტული წინადადება აფხაზეთთან დაკავშირებით, რომ ჩვენ აქტიურად ჩავერიოთ, გვითხარით, კონკრეტულად რა გინდათ. ჩვენ არაფერს არ ვეუბნებით, იმიტომ, რომ სათქმელი არ გვაქვს. ათ წელზე მეტი გავიდა აფხაზეთის ომიდან და დღესაც ქართველებს ერთიანი პოზიცია არ გვაქვს, რაიმე კონკრეტული გეგმა არ დაგვისახავს. ბევრს აწყობს ასეთი გაურკვევლობა, აფხაზეთის თემით სპეკულაცია მიდის, ბევრისთვის აფხაზეთი სერიოზული შემოსავლის წყაროა.

**თორნიკე ბერიშვილი:** რამდენიმე დღის წინ, გაზეთ "24 საათში" დაიბეჭდა თქვენი ნააზრევი აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან საინტერესო ხედვაა, თუმცა მას აუცილებლად გამოუჩნდებიან როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. საინტერესოა, რა რეაქცია მოჰყვა თქვენი ნააზრევის სახალხოდ გამჟღავნებას. ხომ არ გითხრეს, რომ მოღალატეები ხართ?

**ვახტანგ მდივანი:** კარგად გვესმის, რომ ამის გამო, შესაძლოა, თავიც კი მოგვაჭრან. პროექტი ძალიან ავანტიურისტულია, ძალიან. ამდენად, მზად ვართ სერიოზული ბრძოლისთვის. ჩვენ სახელმწიფო მოხელეები ვართ, მაგრამ არავინ იფიქროს, რომ პროექტი, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ, სახელმწიფო პოზიციის გამოხატულებაა. ჩვენ სახელმწიფოს სახელით არ ვლაპარაკობთ.

მეცნიერი კაცი ვარ, თუმცა არავითარი



პროექტის ავტორების და თორნიკე ბერიშვილის (მარცხნივ) დისკუსია.

აკადემიური პრეტენზიები არა მაქვს, ვიცი, რომ არც აინშტაინი ვარ და არც რობესპიერი. ვარ ქართველი, თბილისელი კაცი, რომელსაც ძალიან სტკივა ის პრობლემა, რასაც აფხაზეთი ჰქვია. მაქვს ჩემი აზრი, რომელსაც ვერავინ, ვერავითარი კონიუნქტურა ვერ ამიკრძალავს.

**- უფრო კონკრეტულად რას გულისხმობს თქვენი გეგმა?**

**სიმონ კობეშავიძე:** აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის ორი გზა არსებობს: სამხედრო და მშვიდობიანი. დღეს ჩვენ დამარცხებულის პოზიციაში ვართ, აფხაზები თავს გამარჯვებულებად მიიჩნევენ. მათთვის დიდი თავისტკივილია ქართველების მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოებული პარტიზანული მოძრაობა. წარმოვიდგინოთ, რომ სამხედრო ძალით დავიბრუნებთ აფხაზეთს. პირველი, რასაც აფხაზები ჩვენს წინააღმდეგ მოიმოქმედებენ, პარტიზანული მეთოდებით ბრძოლა იქნება, რასაც აქტიურად დაუჭერს მხარს მესამე, მეოთხე თუ მეხუთე ძალა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ცდილობს ქართველებისა და აფხაზების დაშორიშორებას.

**თორნიკე ბერიშვილი:** თუ ჩვენ ვაღიარებთ იმას, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა და აფხაზთა თანაარსებობაა საჭირო, მაშინ სამხედრო გზა, ალბათ, არ გამოდგება. ხომ უნდა შეიქმნას თანაარსებობისთვის მინიმალური პირობები...

**სიმონ კობეშავიძე:** სწორედ მაგას მოგახსენებთ. დღეს აფხაზებს ქართველი პარტიზანები აწუხებენ, სამხედრო ძალით გამარჯვების შემთხვევაში კი, უკვე აფხაზეთში დაბრუნებული ქართული მოსახლეობა ვერ იგრძნობს თავს უსაფრთხოდ. სამხედრო ძალით პრობლემის მოგვარება აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის საბოლოოდ გაწყვეტამდე მიგვიყვანს.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს მსგავსი პრობლემების მოგვარების ისეთი ხერხი, რომელსაც ჰქვია "ტერიტორიები მშვიდობის სანაცვლოდ". სწორედ ეს გახლავთ ჩვენი გეგმის მთავარი პრინციპი.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ პროექტში ლაპარაკია აფხაზეთის სრულ დამოუკიდებლობაზე, ოღონდ, მხოლოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე და არა მთლიანად ყოფილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში.

**ვახტანგ მდივანი:** აფხაზებს, შეიძლება, უფრო მეტი ტერიტორიები უნდათ, შეიძლება, საქართველოზეც არ თქვან უარი და რუსეთსაც გადასწვდნენ, მაგრამ, ვერ მოერევიან, ძალიან ცოტანი არიან. კონტროლი შეუძლებელი იქნება, ეს აუცილებლად უნდა განვუმარტოთ მათ.

**თორნიკე ბერიშვილი:** ხომ არ ჩაგვითვლიან ამას ისე, რომ რაღაც რეზერვაციას ვაკეთებთ?

**ვახტანგ მდივანი:** შეგიძლიათ დამისახელოთ გაერო-ს წევრი რეზერვაცია? ჩვენ აფხაზებს გაერო-ს წევრად გახდომაშიც დავეხმარებით, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა. სან-მარინო ყველა მხრიდან იტალიით არის შემოსაზღვრული, იქ, განსხვავებით აფხაზებისაგან, სუფთა იტალიელები ცხოვრობენ. სან-მარინოელი - ასეთი ეთნოსი არ არსებობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იტალიასა და სან-მარინოს შორის მიღწეულია შეთანხმება. იგივე ლიხტენშტეინი, მონაკო, ვადუცი – სწორედ ასეთ მოდელს ვთავაზობთ ჩვენ აფხაზებს, აქ არ შეიძლება ლაპარაკი არავითარ რეზერვაციაზე. აფხაზები იქნებიან ამ ტერიტორიის ბატონ-პატრონნი და რაც სურთ, იმას გააკეთებენ თავიანთ ტერიტორიაზე. ნებავთ, პრეზიდენტი ჰყავდეთ, ნებავთ, საპარლამენტო რესპუბლიკად ჩამოყალიბდნენ, სულაც მონარქია აღადგინონ ან, ბოდიში ამ სიტყვაზე, ტომის ბელადი აირჩიონ - ეს მათი უფლებაა.

თუმცა, ამ ტერიტორიაზე ისეთი რაღაც არ უნდა მოხდეს, რაც იგივე საქართველოს უსაფრთხოებას დაემუქრება. ჩვენი მხრიდან, სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებაში ჩავდებთ იმ მოთხოვნებს, რაც აფხაზებს სრულიად თავისუფალი განვითარების და გენოფონდის გაძლიერების საშუალებას მისცემს.

**სიმონ კობეშავიძე:** ჩვენი პროექტის თანახმად, ის, ვინც ამ ტერიტორიაზე გადაწყვეტს ცხოვრებას, თავისუფლდება საქართველოს მხრიდან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან იმ სამხედრო დანაშაულებებისათვის, რაც მას აქვს ჩადენილი ქართველების წინააღმდეგ. ეს კარგი შეთავაზებაა იმ ძალებისთვის, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან. თუ მათ არ ექნებათ პირადი უსაფრთხოების გარანტია, ისინი არავითარ დიალოგზე არ წამოვლენ.

**- თქვენი გეგმის თანახმად, აფხაზეთში ქართული ეროვნული ვალუტა უნდა მოქმედებდეს?**

**სიმონ კობეშავიძე:** აფხაზების დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე აუცილებლად ქართული ეროვნული ვალუტის მიმოქცევა უნდა იყოს. აფხაზები ხშირად ამბობენ, რომ აღიარებენ ევროპულ ღირებულებებს, აშენებენ სამოქალაქო საზოგადოებას. საქართველოც ევროპისკენ მიისწრაფვის. ანუ ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს - ევროპაში ინტეგრაცია. ასე რომ, თუ აფხაზებს ქართულ ფულზე ექნებათ გართულება, ჩვენ მათ ვეტყვით, რომ ევროპულ ოჯახში მოხვედრისთანავე ყველას საერთო ვალუტა გვექნება – ევრო.

**ვახტანგ მდივანი:** და რაც ძალიან მნიშვნელოვანია - იმისათვის, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ეკონომიკა განვითარდეს, საჭიროა თავისუფალი ეკონომიკური ზონა გამოვაცხადოთ. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტმა არაერთხელ ბრძანა, რომ თუ ქართველებსა და აფხაზებს შორის მიღწეული იქნება შეთანხმება პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით, დასავლეთის ქვეყნები აფხაზეთის ინფრასტრუქტურის აღდგენაში აქტიურად დაგვეხმარებიან.

**თორნიკე ბერიშვილი:** ანუ, თქვენი გეგმის თანახმად, უნდა მოხდეს ტერიტორიული შეთანხმება, სად იმოქმედებს აფხაზეთის იურისდიქცია, სად იქნება ქართული. გეგმაში, ალბათ, აუცილებლად ჩადებულია რაღაც უსაფრთხოების პირობები.

**ვახტანგ მდივანი:** სწორედ უსაფრთხოებისთვისაა ის, რომ აფხაზებს, ჩვენი გეგმის მიხედვით, რუსეთთან საზღვარი არ ექნებათ. ეს არის მთავარი.

**თორნიკე ბერიშვილი:** გულწრფელად გითხრათ, თქვენი იდეის მთავარი მომხიბვლელობა იმაშია, რომ შესაძლოა, ის დიალოგის იმპულსი გახდეს. ქართველები და აფხაზები დავსხდეთ ერთ მაგიდასთან, ერთმანეთს თვალებში შევხედოთ და კონკრეტულ წინადადებაზე დავილაპარაკოთ. როგორ ფიქრობთ, როგორ აღიქვამს აფხაზური მხარე, საერთოდ, თქვენს იდეას, ან იქნებ მისთვის მიუღებელი იყოს ტერიტორიების ამგვარი განაწილება, შესაძლოა, მათ მოისურვონ, რომ ვთქვათ, სოხუმი აუცილებლად მათი უნდა იყოს?

**ვახტანგ მდივანი:** როგორც კი აფხაზები ამ ტერიტორიების გარშემო ვაჭრობას გააჩაღებენ, ჩვენ მოგებულნი ვართ. ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ისინი ჩვენთან დიალოგზე წამოვიდნენ. სოხუმი გინდათ? კი ბატონო, თქვენი იყოს. მათ უნდა იცოდნენ, რომ ჯიუტად არ ვდგავართ ჩვენს პოზიციაზე, რომ მათი აზრიც ღირებული და საინტერესოა ჩვენთვის. მთავარია, ჩვენს შორის დაიწყოს დიალოგი, ეს უკვე დიდი მიღწევა იქნება და, თუ სწორად წარვმართავთ მოლაპარაკებების პროცესს, საერთო გადაწყვეტილებამდე აუცილებლად მივალთ. საქართველოსთვის ყველაზე მთავარია, აფხაზეთს რუსეთთან საზღვარი არ ჰქონდეს.

**თორნიკე ბერიშვილი:** რა წინააღმდეგობები შეიძლება შეხვდეს თქვენს იდეას საერთაშორისო ასპარეზზე?

**სიმონ კობეშავიძე:** რუსეთი ორჭოფულ მდგომარეობაში იქნება. პირველი ის არის, რომ რუსეთი კარგავს ტერიტორიებს. მეორე, რუსეთი, რომელიც საქართველოს სულ იმას უჩიჩინებს - აფხაზეთთან დათმობებზე არ მიდიხართო, საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება. მეტი რა დათმობა შეიძლება, აფხაზებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენების უფლებას ვაძლევთ, თან - გაერო-ს წევრობით.

კიდევ ერთი საკითხია: რუსეთს თავისი ფედერაციის სუბიექტებთან ძალიან დაძაბული ურთიერთობა აქვს. წარმოიდგინეთ, თუკი ჩვენი იდეა განხორციელდა, მაშინ ეს სუბიექტები რუსეთს მიუბრუნდებიან და ეტყვიან: თუკი საქართველო 80 ათას კაცს ასეთი მაღალი დონის დამოუკიდებლობას აძლევს, ჩვენ მილიონები ვართ, ნუთუ არ ვიმსახურებთ იგივეს? აი, სწორედ მაშინ გვეტყვიან რუსები: ქართველები ამერიკელების მეგობრები ხართ და რეზერვაციის მოდელიც მათგან გადმოიღეთო. მაგრამ ჩვენ სერიოზული არგუმენტი გვაქვს - ჩვენ აფხაზეთს თანაბარუფლებიან საერთაშორისო სუბიექტად ქცევას ვპირდებით.

**ვახტანგ მდივანი**: ის წინადადება, რასაც ჩვენ აფხაზებს ვთავაზობთ, თუ ისინი მართლა დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან, გაცილებით მეტია, ვიდრე რუსეთის ასოცირებული წევრობა, ან რუსეთის გუბერნიობა და ა.შ. როდემდე უნდა ელოდონ აფხაზები საერთაშორისო აღიარებას, ათი წელიწადია უკვე, უძრაობაში არიან და კიდევ რამდენი ათეული წელიწადი იქნებიან ასე, ვინ იცის. მერე კიდევ, თუ ძალიან გაბრაზდა რუსი დათვი, არამარტო ჩეჩნეთში, აფხაზეთშიც გადმოინაცვლებს. აფხაზები იმ საოცარი ზღვისპირა კუთხის მარგალიტები არიან, თუ ჩვენ ქართველებს ოდითგანვე მოგვდევს ტოლერანტობა, პირველ რიგში, მათ მიმართ უნდა ვიყოთ ტოლერანტები, მათთან უფრო მეტი გენი გვაკავშირებს.

# პრეზიდენტი პურის გაძვირების შესაძლებლობას გამორიცხავს

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე უახლოეს თვეებში ქვეყანაში პურის გაძვირებას არ ელის.

როგორც შევარდნაძემ გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა, მან არ იცის, რომელმა წყარომ გაავრცელა ინფორმაცია პურის მოსალოდნელი გაძვირების თაობაზე. **"პირადად ვფლობ მონაცემებს პურის მოხმარების, ფასებისა და რეზერვების თაობაზე. მინდა განვაცხადო, რომ უახლოეს თვეებში პური ნამდვილად არ გაძვირდება, ხოლო თუ ამის აუცილებლობა დადგება, მოსახლეობა ამას ხელისუფლებისგან შეიტყობს",** - აღნიშნა მან.

პრეზიდენტმა ასევე უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს უკანასკნელ ხანებში პურის ფქვილის გაძვირება კონტრაბანდასთან ბრძოლის გააქტიურებას უკავშირდება. ფქვილზე ფასის ზრდის ნამდვილ მიზეზად მან ხორბლის დაბალი მოსავლიანობა დაასახელა იმ ქვეყნებში, საიდანაც საქართველო იმპორტს ახორციელებს.

**"ეს არც ისე დიდი პრობლემაა, რადგან ჩვენ სხვა წყაროებიც გაგვაჩნია",** - აღნიშნა შევარდნაძემ. **ინტერ-პრესი**

# მეპურეები გადასახადების გაუქმებას ითხოვენ

ნინო ნარჩემაშვილი

**"საქართველოში ლეგალური ეკონომიკური საქმიანობის პირობები უნდა შეიქმნას და არ უნდა არსებობდეს იძულებითი დანაშაულებრივი ურთიერთობა სახელმწიფოს სახელით მოქმედ კანონიერი თუ უკანონო გადასახადის ამკრეფ სტრუქტურებთან. საგადასახადო რეჟიმმა მეწარმეებს ლეგალური საქმიანობის ინტერესი არ უნდა დაუკარგოს,"** – საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების გასაგონად, ხმამაღლა აცხადებენ ის ქართველი მეწარმეები, რომლებიც მოსახლეობისათვის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვან, პურ-პროდუქტების წარმოების სფეროში მოღვაწეობენ.

აღსანიშნავია, რომ მარტო თბილისის მოსახლეობის პურით უზრუნველყოფას დღე-ღამის განმავლობაში 520-540 ტონა ფქვილი სჭირდება. ხორბალი კი ნებისმიერი ქვეყნისათვის სტრატეგიული დანიშნულების ნედლეულად ითვლება. ქართველ მეწარმეებს, იმისათვის, რომ საწარმო არ გაჩერდეს, ბევრი კანონიერი თუ უკანონო ბარიერის გადალახვა უწევთ.

შპს "მზეკაბანი", რომელიც ყოფილი "თბილისის პურპროდუქტების კომბინატის" ბაზაზე 1995 წელს შეიქმნა, საქართველოში დარგის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმოებაა. დღეისათვის აქ 200 ადამიანია დასაქმებული. "მზეკაბანის" დირექტორი, თამაზ გელაშვილი აცხადებს, რომ დარგში არსებული მდგომარეობა კატასტროფულია. წისქვილქარხნების აბსოლუტური უმრავლესობა გაჩერებულია. დარჩენილი მცირე ნაწილი კი, ისევე, როგორც "მზეკაბანი", 10-15 პროცენტიანი დატვირთვით მუშაობს. არადა, "მზეკაბანის" ხორბლის შესანახი 50 ათასტონიანი ელევატორი, ფაქტობრივად, უფუნქციოდ არის დარჩენილი და ქარხანა, რომელსაც დღე-ღამეში 470 ტონა ხორბლის გადამუშავება შეუძლია, იძულებულია, მხოლოდ მისი მცირე ნაწილის წარმოებით დაკმაყოფილდეს. მისივე თქმით, ხელისუფლება, სამწუხაროდ მხოლოდ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე ფიქრობს და ყურადღებას არ აქცევს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ნორმალური საგადასახადო სისტემის შექმნა და ქართული წარმოებისათვის პრიორიტეტის მინიჭება.

თამაზ გელაშვილის აზრით, სწორედ ხორბლის იმპორტის, ფქვილისა და პურის წარმოების აგრესიულმა დაბეგვრამ გამოიწვია, რომ ხორბალი და ფქვილი საქართველოში კანონიერი გზით ვერავის შემოაქვს. ასეთ პირობებში კი წარმოუდგენელია იმ სისტემის ფუნქციონირება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პურპროდუქტებით მოსახლეობის უწყვეტი მომარაგება, დაასაქმოს და მისცეს ხელფასი ათასობით ადამიანს, სახელმწიფო ბიუჯეტში სოლიდური თანხები შეიტანოს.

სხვა საკითხია, საჭიროა თუ არა ქვეყანაში ხორბლის ან ფქვილის გარკვეული მარაგის არსებობა. რა მოხდება მაშინ, თუკი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, რომლის ალბათობა დღევანდელ საქართველოში ძალზე დიდია, ქვეყანა მზად არ აღმოჩნდება, მომხმარებელი პურით უზრუნველყოს?

"მზეკაბანის" დირექტორის თქმით, ხორბლის იმპორტისას, დღგ-ს მაღალი გადასახადის გამო, წისქვილკომბინატები ვერ იძენენ ხორბლის დიდ პარტიებს მარაგის შესაქმნელად. საქართველოს კი, ხორბლის რეზერვზე რომ არაფერი ვთქვათ, ფქვილის ექვსთვიანი მარაგი ყოველთვის ჰქონდა. მისივე განცხადებით, პურისა და ფქვილის 20-პროცენტიანი დღგ-თი დაბეგვრის რეჟიმმა ქვეყანაში კონტრაბანდული პროდუქციის შემოდინების გაზრდას შეუწყო ხელი. ყოველივე აღნიშნულისა და უვარგისი საკანონმდებლო ბაზის შედეგად, ქვეყნის შიგნით კატასტროფულად გაიზარდა აღურიცხავი პროდუქციის გამოშვება, ხორბლისა და ფქვილის კონტრაბანდა, ფარული ბიზნესი. დარგიდან ბიუჯეტში თითქმის არ შედის თანხები და არ იქმნება წარმოების გაუმჯობესებისა და ლეგალიზების ეკონომიკური მექანიზმი. "მზეკაბანის" ფქვილი, რომელიც უმაღლესი ხარისხისაა და ნებისმიერ ბაზარზე კონკურენტუნარიანია, როგორი ორიგინალური და განმასხვავებელნიშნიანი შეფუთვითაც არ უნდა გამოვიდეს, ფალსიფიკატორებს მაშინვე იდენტურად შეფუთული უხარისხო ფქვილი შემოაქვთ ბაზარზე. **"ამ პროცესს წლების განმავლობაში ვებრძვით, მაგრამ ვერაფერს გავხდით. რამდენიმე თვის წინ ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონმაც აღმოაჩინა არალეგალური საწყობი, სადაც "მზეკაბანის" იდენტურ პაკეტებში გაურკვეველი წარმომავლობის ფქვილს აფასოებდნენ,"** – აცხადებს თამაზ გელაშვილი და განმარტავს, რომ ერთი ასეთი საწყობი დაილუქა, მაგრამ ბევრი კიდევ დარჩა და მათთან ერთად დარჩა მოუგვარებელი პრობლემაც.

რაც შეეხება არსებული მდგომარეობიდან გამოსავალს, შპს "მზეკაბანის" ხელმძღვანელობის პოზიცია კონკრეტულია – გადასახადები ხორბალზე საერთოდ არ უნდა არსებობდეს. მაგალითისათვის მათ დსთ-ს ის ქვეყნები მოჰყავთ, სადაც საბაჟო გადასახადით ხორბლის იმპორტი არ იბეგრება.

თამაზ გელაშვილის აზრით, დარგის გადარჩენისა და განვითარებისათვის, აუცილებელია, ყველა მეწარმე თანაბარ პირობებში ჩადგეს. ეს კი, თავის მხრივ, პურის ფასების ერთ დონეზე შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

## მონიტორინგი

# მთავრობა რეალობას მოსწყდა

**კიდევ უფრო გართულდა მდგომარეობა პენსიების დაფინანსებაში. 15 ივნისისათვის გარღვევა 54,9 მილიონი ლარია.**

**ჯერ კიდევ არ დასრულებულა თებერვლის თვის პენსიების დაფინანსება, გარღვევა 1,8 მილიონი ლარია.**

**მარტის, აპრილის და მაისის პენსიების სრულად დაფინანსებას აკლია, შესაბამისად, 9.4 მილიონი ლარი, 10.3 მილიონი ლარი და 13.2 მილიონი ლარი.**

**უმწეოთა სოციალური დახმარება დაფინანსებულია მხოლოდ მარტის თვის ჩათვლით.**

აღმაშფოთებელი მდგომარეობაა სოციალური ფონდის ჯანდაცვისა და სხვა სოციალური პროგრამების დაფინანსებაში.

15 ივნისისათვის ჯანდაცვის პროგრამები, 5 თვის გეგმასთან შედარებით, დაფინანსებულია 73,1 პროცენტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა - 55,2 პროცენტით, ხოლო უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები - 22,8 პროცენტით.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში გადასახდელი მიწის და ქონების გადასახადის სუბსიდირება შესრულებულია 100 პროცენტით (ისევ ბიუჯეტის ქაღალდზე შესრულების მიზნით), ხოლო უმუშევრის დასაქმების ხელშემწყობი პროგრამა - 1,7 პროცენტით.

**ამ ვითარების ფონზე მთავრობა სულ უფრო და უფრო კარგავს რეალობის გრძნობას და საკმაოდ გულდამშვიდებულად მსჯელობს პენსიების დარიგების პრობლემებზე, აგვისტოს დასაწყისისათვის პენსიების გაცემის რეგიონების მიხედვით გამოთანაბრებისა და საპენსიო დავალიანების შიდა ვალში აყვანის საკითხს განიხილავს.**

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

სოციალური ფონდის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების ხარჯები 15 ივნისისათვის

ათას ლარებში

| დასახელება | ხუთი თვის გეგმა | ფაქტი | % ხუთ თვესთან |
|---|---|---|---|
| ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები | 32,859 | 24,021 | 73.1% |
| [illegible] | 5,662 | 3,199 | 56.5% |
| [illegible] | 20,774 | 14,987 | 72.1% |
| [illegible] | 5,507 | 4,954 | 89.9% |
| [illegible] | 916 | 901 | 98.4% |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა | 1,720 | 949 | 55.2% |
| [illegible] | 637 | 67 | 10.5% |
| [illegible] | 750 | 595 | 79.3% |
| [illegible] | 83 | 37 | 44.6% |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში გადასახდელი მიწის და ქონების გადასახადის სუბსიდირება | 250 | 250 | 100.0% |
| უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები | 2,723 | 622 | 22.8% |
| [illegible] | 167 | 126 | 75.4% |
| [illegible] | 933 | 16 | 1.7% |
| [illegible] | 167 | 7 | 4.2% |
| [illegible] | 650 | 473 | 72.8% |

პენსიების დაფინანსება 15 ივნისისათვის

| დასახელება | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|
| პენსიები | დაფინანსებულია | გარღვევა 1,8 მლნ ლარი | გარღვევა 9,4 მლნ ლარი | გარღვევა 10,3 მლნ ლარი | გარღვევა 13,2 მლნ ლარი | არ დაწყებულა დაფინანსება |
| [illegible] | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | გარღვევა 2,2 მლნ ლარი | არ დაწყებულა დაფინანსება |
| [illegible] | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | გარღვევა 0,6 მლნ ლარი | არ დაწყებულა დაფინანსება |
| უმწეოთა სოციალური დახმარება | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | გარღვევა 2,4 მლნ ლარი | | არ დაწყებულა დაფინანსება |

# ავტოავარიაში დაზარალებულთა დაზღვევა სათუო ხდება

სოფო კვინტრაძე

*სავალდებულო დაზღვევის ფონდი სადაზღვევო კომპანიებისაგან შენატანების ათიდან ოც პროცენტამდე გაზრდას ითხოვს. საქმე ეხება ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას. სადაზღვევო კომპანიები აცხადებენ, რომ ისინი იძულებულნი გახდებიან, მძღოლების დაზღვევაზე საერთოდ უარი თქვან.*

ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა სადაზღვევო კომპანიებისათვის დღითიდღე უფრო არარენტაბელური ხდება. 2000 წლიდან ეს სადაზღვევო პოლისი მძღოლებისათვის, საშუალოდ, 15 ლარი ღირს. ავტოსაგზაო შემთხვევის დროს კი, დაზარალებულები საკომპენსაციოდ სადაზღვევო კომპანიისაგან რამდენიმე ათას ლარს იღებენ (ზიანის სიდიდის შესაბამისად). სადაზღვევო პოლისის ღირებულების 10 პროცენტს კომპანიები სავალდებულო დაზღვევის ფონდში რიცხავენ. ფონდი კი დაზარალებულ პირებს ისეთ საგზაო შემთხვევებში უწევს დახმარებას, როდესაც ავტომანქანის მძღოლი ან დაზღვეული არ იყო, ან შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სავალდებულო დაზღვევის ფონდი და დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შევიდნენ. დაზღვევის შესახებ კანონში ცვლილება სადაზღვევო კომპანიების 10-პროცენტიანი შენატანის გაორმაგებას ითვალისწინებს.

აღნიშნული ცვლილება ჯერ მხოლოდ ეკონომიკური პროფილის კომიტეტებში იხილება, მომავალი კვირიდან კი იგი პლენარულ სხდომაზე გავა. როგორც "24 საათთან" საუბარში სავალდებულო დაზღვევის ფონდის ხელმძღვანელმა დავით წერეთელმა აღნიშნა, ფონდი ავტოსაგზაო შემთხვევებისას დაზარალებული ადამიანების ზიანის ანაზღაურებას ვერ აუდის. წერეთლის ინფორმაციით, 2002 წელს ფონდის შემოსავალმა დაზღვევის ამ სახეობაში 250 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ზიანის ანაზღაურების მთლიანმა თანხამ 270 ათას ლარს გადააჭარბა. ამას გარდა, დაზარალებულ პირებს, მინიმუმ, წელიწადი და რვა თვე უწევთ რიგში დგომა, რათა კუთვნილი საკომპენსაციო თანხა მიიღონ.

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის არჩილ ცერცვაძის განცხადებით, ისინი უკვე მეორე საკანონმდებლო ინიციატივით შედიან პარლამენტში, რათა სავალდებულო დაზღვევის ფონდში შექმნილი რთული სიტუაცია გამოასწორონ. ადრინდელი ინიციატივა, რაც საკომპენსაციო თანხის შემცირებას ეხებოდა, საპარლამენტო კომიტეტებმა დაიწუნეს. დღევანდელი კანონმდებლობით, ავტოსაგზაო შემთხვევისას გარდაცვლილი პირის ოჯახი სავალდებულო სადაზღვევო ფონდისაგან 3750 ლარს იღებს. სწორედ ამ თანხის 2500 ლარამდე შემცირებაზე იყო საუბარი. **"ვინაიდან დაზარალებულთა საკომპენსაციო თანხის შემცირება საკანონმდებლო ორგანოში არ მოიწონეს, ახლა შევეცადეთ, მდგომარეობა ისევ სადაზღვევო კომპანიების ხარჯზე გაგვეუმჯობესებინა,"** – აცხადებს არჩილ ცერცვაძე და იმასაც დასძენს, რომ წინასწარი კონსულტაციებისას, მოსალოდნელი ცვლილებების გამო ყველა სადაზღვევო კომპანიამ უკმაყოფილება გამოთქვა. დავით წერეთლის ინფორმაციით, სავალდებულო დაზღვევის ფონდში სავალალო მდგომარეობაა შექმნილი, რადგან დაზარალებულებისადმი ვალი თითქმის ნახევარ მილიონ ლარს შეადგენს. თუმცა, კანონში ცვლილების ინიციატორები აცხადებენ, რომ სადაზღვევო კომპანიათა შენატანის 20 პროცენტამდე გაზრდა, მხოლოდ დროებითი გამოსავალია. არჩილ ცერცვაძის თქმით, საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ მთლიანად საჭიროებს გადახედვას. მაგრამ, მისივე თქმით, ეს მხოლოდ ახალი მოწვევის პარლამენტში განხორციელდება.

"24 საათი" დაუკავშირდა სადაზღვევო კომპანიებს, რომელთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისის ფასი გაუმართლებლად დაბალია, რაც დაზღვევის ამ სახეობას არარენტაბელურს ხდის. ხოლო კიდევ უფრო წამგებიანი გახდება იგი, თუ პარლამენტი ზემოთ აღწერილ ცვლილებას დაამტკიცებს. "ალდაგის" წარმომადგენლის სანდრო ურუშაძის განცხადებით, თავის დროზე დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით, პარლამენტმა ეკონომიკური გათვლების გარეშე შეამცირა ტარიფი 15 ლარამდე. **"გადაწყვეტილება, რომელიც თავის დროზე მიიღეს, არასწორი იყო. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ ფონდი დღეს დაზარალებულებს ველარ ისტუმრებს. ახლა ამ სიტუაციის გამოსწორებას სადაზღვევო კომპანიების ხარჯზე ცდილობენ. ამიტომ ეს საკანონმდებლო ცვლილებაც არასწორი ნაბიჯია,"** – აცხადებს სანდრო ურუშაძე. "ალდაგის" წარმომადგენლის თქმით, ამ ცვლილების მიღების შემთხვევაში, კომპანიამ, შესაძლოა, ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე საერთოდ უარი თქვას.

# გაზსაცავების მშენებლობა ნავთობინვესტორებსაც ხელს აძლევს

მაია ურუშაძე

*გუშინ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში პრეზენტაცია გამართა დანიურმა საკონსულტაციო კომპანია "რამბოლიმ". "ტასის"-ის ერთწლიანი პროგრამის ფარგლებში, კონსულტანტებმა საქართველოში მიწისქვეშა გაზსაცავების მშენებლობის შესაძლებლობები შეისწავლეს და პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება მოამზადეს. გაზსაცავების პროექტთან ერთად, "რამბოლიმ" გუშინ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს მაგიდაზე საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციის სქელტანიანი გეგმაც დაუდო.*




*მადს კრისტენსენი გაზსაცავისთვის ყველაზე შესაფერისად ნინოწმინდის ნახევრადცარიელ ნავთობსაბადოს მიიჩნევს.*

დანიელი კონსულტანტების მიერ ჩატარებულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ საქართველოში გაზის შენახვა ნავთობის რვა დაცარიელებულ საბადოშია შესაძლებელი. "რამბოლის" ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი მადს კრისტენსენი გაზსაცავისთვის ყველაზე შესაფერისად ნინოწმინდის ნახევრადცარიელ ნავთობსაბადოს მიიჩნევს. ამ საბადოზე ნავთობის მოპოვებას "კანარგოს" შვილობილი "კანარგო-ნინოწმინდა" აწარმოებს და მასში 750 მილიონი კუბური მეტრი გაზის ჩაჭირხვნაა შესაძლებელი.

კრისტენსენის განცხადებით, გაზსაცავები შეიძლება აშენდეს ჭალადიდის ნავთობსაბადოში, რომელიც 800 მლნ. კუბური მეტრ გაზს დაიტევს, და დასავლეთ რუსთავის საბადოში, რომლის ტევადობაც 850 მილიონი კუბური მეტრი გაზია. რუსთავის საბადოში გაზსაცავის აშენებისთვის ტექნიკური დასაბუთება ადრე "საქნავთობმა" გერმანელ სპეციალისტებთან ერთად მოამზადა. თუმცა, მაშინ საქმე ადგილიდან არ დაძრულა, რადგან საბადოს მაშინდელმა მფლობელმა - "საქნავთობმა" – გაზსაცავების ასაშენებლად საჭირო თანხები ვერ შეაგროვა.

ერთი წლის წინ "საქნავთობი" გაზსაცავების თემას, "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასთან" და საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების სახელმწიფო მარეგულირებელ სააგენტოსთან ერთად, კვლავ მიუბრუნდა. გაზსაცავების მშენებლობასთან ერთად განიხილება 30 პროექტი, რომლებიც ქვეყნის მაგისტრალური გაზსადენების სრულ რეაბილიტაციას გულისხმობს. პროექტთა სრული პაკეტის ღირებულება 34 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. მის დასაფინანსებლად უნდა შეიქმნას კონსორციუმი, რომელშიც გაზსაცავების მშენებლობითა და საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციით დაინტერესებული ინვესტორები შევლენ.

"საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია იმედოვნებს, რომ გაზსაცავების ინვესტირებით "შაჰდენიზის" გაზსადენის ინვესტორებიც დაინტერესდებიან. თუმცა, "რამბოლის" ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა გუშინ განაცხადა, რომ სამხრეთ კავკასიის მილსადენის ძირითადი ინვესტორები ბრიტანული "ბი-პი" და ნორვეგიული "სტატოილი" პროექტში მონაწილეობას არ აპირებენ.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა პროექტში რუსული კომპანიების მონაწილეობას არ გამორიცხავს. **"მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის დაფინანსების თაობაზე საერთაშორისო დონორებთან საუბრისას, ჯერჯერობით, შედეგს ვერ მივაღწიეთ. ამიტომ, შესაძლოა, სხვა საინვესტიციო წყაროების მოძებნა, თუნდაც რუსულ "გაზპრომთან" მოლაპარაკება გახდეს საჭირო,"** - აღნიშნა მინისტრმა. მისი თქმით, "გაზპრომი" მზად არის, მაგისტრალურ გაზსადენში რეაბილიტაციის თანხები დააბანდოს.

"რამბოლის" ექსპერტთა გათვლებით, პროექტში განხორციელებული ინვესტიციის უკუგებისათვის გაზის ტარიფში ტრანსპორტირების წილის 6,4 პროცენტით გაზრდა იქნება საჭირო. ეს კი ან გაზის სამომხმარებლო ტარიფის ზრდას, ან ტარიფში სადისტრიბუციო წილის შემცირებას გამოიწვევს.


# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 9-13 ივნისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა: 5 865.8 ათასი ლარი**

1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 488.6 ათასი ლარი:

- დისკონტი - 442.6 ათასი ლარი;
- სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 46.0 ათასი ლარი;

2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 5 289.7 ათასი ლარი;

საბიუჯეტო ორგანიზაციების მაისის თვის შრომის ანაზღაურება - 1 286.8 ათასი ლარი;

- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - 455.0 ათასი ლარი;
- სასამართლო სისტემა - 438.1 ათასი ლარი;
- სახელმწიფო კანცელარია დაქვემდებარებებით - 216.8 ათასი ლარი;
- უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრი - 90.0 ათასი ლარი;
- საქართველოს პარლამენტთან არსებული ეროვნული ბიბლიოთეკა - 55.3 ათასი ლარი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისია - 26.7 ათასი ლარი;
- საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო - 4.9 ათასი ლარი;

ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს (მაისის თვის) - 3 598.0 ათასი ლარი;

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო (საქართველოს პრეზიდენტის 7.06.03 N681 განკარგულების თანახმად საქართველოს პრეზიდენტის 21.01.03 N78 განკარგულებაში "ქ. თბილისში ღვინის ლაბორატორიის მოწყობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ" შეტანილი ცვლილების საფუძველზე) - 400.0 ათასი ლარი;

- სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - 4.9 ათასი ლარი;
- ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი (მივლინება) - 4.9 ათასი ლარი;

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 87.5 ათასი ლარი;

კულტურის სამინისტროს პროგრამული ხარჯები (სხვა საქონელი და მომსახურება) - 37.5 ათასი ლარი;

საქართველოს პარლამენტის სამივლინებო ხარჯები - 50.0 ათასი ლარი;

სულ ხარჯი: 5 865.8 ათასი ლარი;

1 ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 488.6 ათასი ლარი:

დისკონტი - 442.6 ათასი ლარი;

სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 46.0 ათასი ლარი;

2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 5 289.7 ათასი ლარი;

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 87.5 ათასი ლარი;

სხვა საქონელი და მომსახურება - 37.5 ათასი ლარი;

მივლინება - 500 ათასი ლარი.

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1**

**ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**

# ელის თუ არა რუსეთის ოლიგარქთა ბუნტი?

პირველი გვერდიდან

ამ საკითხებზე სასაუბროდ მოსკოვში ხელმეორედ შეიკრიბა რუსეთის ექსპერტთა ორგანიზაცია "ღია ფორუმი", რომლის მიზანია ქვეყანაში მოახლოებული არჩევნების წინ პარტიების პოლიტიკურ საქმიანობაში ექსპერტთა ჩართვა, ღია დიალოგი და პრაქტიკული რეკომენდაციების გამომუშავება. “ღია ფორუმის” ორგანიზატორები არიან რუსეთის ფონდი “ექსპერტიზა”, “პოლიტიკური ტექნოლოგიების ფონდი”, თანამედროვე პოლიტიკის შემსწავლელი ცენტრი და “სამოქალაქო საზოგადოების” აკადემია.

**ირინა ხაკამადა**, რუსეთის პარლამენტის დეპუტატი, ფრაქცია “მემარჯვენე ძალთა კავშირის” თავმჯდომარის მოადგილე:

-ოლიგარქთა შეთქმულება, ჩამოაგდონ ვლადიმირ პუტინი და ქვეყანაში საპარლამენტო რესპუბლიკა გამოაცხადონ, არჩევნების წინ რეალური ხდება, მით უფრო, რომ სახელმწიფო მმართველობის სისტემა კრიზისშია. თუ რუსეთს განვიხილავთ, როგორც კორპორაციას, ხელისუფლება დღეს მისი ყველაზე სუსტი რგოლია. მე ვერ გავიგე, ვინ არიან დღეს რუსეთის მთავრობაში - ტექნოკრატები თუ პოლიტიკოსები?

საჭიროა მაღალი რანგის ჩინოვნიკებისა და მინისტრთა გაშვება, რომლებიც ადმინისტრაციული რესურსით ოლიგარქებს მფარველობენ. მაგრამ, როგორც კი რუსეთში დღეს არსებულ სისტემას დაუპირისპირდები, ან გაგაგდებენ, ან სიკვდილით დაგემუქრებიან. მე ეს საკუთარ თავზე გამოვცადე. მიმაჩნია, რომ ასეთ პირობებში ჩვენმა პრეზიდენტმა უნდა იყოჩაღოს და მმართველმა პოლიტიკურმა კლასმა გამოაცხადოს ერთიანი პროექტი, რათა შეებრძოლოს დიდი რესურსების მქონე ბიუროკრატიასა და ოლიგარქიას.



ოლიგარქთა შეთქმულება, არჩევნების წინ, რეალური ხდება.

**გლებ პავლოვსკი**, ეფექტური პოლიტიკის ფონდის პრეზიდენტი:

- პარლამენტისადმი მიმართვაში პუტინმა ბიუროკრატიული თვალსაზრისით შეუსრულებელი ამოცანები დასვა, რითიც ოპოზიციაში ჩაუდგა ძველ, ელცინისდროინდელ ხელისუფლებას. დღეს პუტინი კარნახობს არა იმდენად ეკონომიკური განვითარების ტემპს, არამედ რუსეთის წინასაარჩევნო სცენის პოლიტიკურ მოწყობას. არჩევნები თვითმიზანი არ არის, ის ერთ-ერთი ინსტრუმენტია ახალი სისტემის, უმრავლესობაზე დაფუძნებული მთავრობის ფორმირებაში. პუტინი დღეს რუსეთში რეალურად სწორედ ასეთ სისტემას აშენებს. რასაკვირველია, ხელისუფლებას გამარჯვებული პარტიები დააკომპლექტებენ, რომლებიც პუტინის ირგვლივ გაერთიანდებიან. თუ პუტინის მიმართვის ტექსტი გახსოვთ, მისი ლაიტმოტივია გამარჯვებულთა გუნდის მიერ ხელისუფლების ფორმირება.

**კონსტანტინ სიმონოვი**, პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე:

- ასეთი წესით ხელისუფლების დაკომპლექტება ოლიგარქებს ხელფეხს გაუხსნიდა. ხელისუფლება, ბუნებრივი მონოპოლიები მთლიანად ოლიგარქთა ხელშია. მსხვილი ბიზნესი სულ უფრო გულუხვად აფინანსებს რუსეთის პოლიტიკურ პარტიებს. რუსეთის მემარჯვენე პარტიებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პარალელურად აკონტროლებენ "ნავთობის გენერლები". კასიანოვის მთავრობას რუსეთის მსხვილი ბიზნესი მფარველობს. დღეს რუსეთში უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს წამყვანი კომპანიები და კონცერნები იღებენ და ის ფაქტი, რომ მინისტრთა კაბინეტი პასუხს არ აგებს პარლამენტის წინაშე, სულ უფრო ამტკიცებს ოლიგარქებისა და მინისტრების კავშირს. ასე რომ, ჩემი აზრით, პუტინის მიერ გამოცხადებული პარტიული ხელისუფლება, სარგებელზე მეტად, ზიანის მომტანი იქნება.

**ანდრეი პიონტკოვსკი**, სტრატეგიული კვლევების ცენტრის დირექტორი:

- რუსეთის საზოგადოება ვერ განვითარდება ისეთ პირობებში, როცა პრეზიდენტი პუტინი ოლიგარქთა მუქარის ქვეშაა. აშკარაა განხეთქილება პრეზიდენტის ცნობიერებასა და მის გარშემო მყოფი ელიტის ცნობიერებას შორის. აზრი არა აქვს ეროვნულ პროექტებზე საუბარს იქ, სადაც მმართველი კლასი ეროვნულად არ აზროვნებს. პუტინი ქადაგებს რუსი ერის, რუსული ისტორიისა და სახელმწიფოს ირგვლივ ბიზნესელიტის კონსოლიდაციას. თუ ეს ბიზნესელიტა, ვის ხელშიცაა დღეს რუსეთის გაზის, ნავთობის, ენერგეტიკის სიმდიდრეები, ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებს და ამის საშიში სიმპტომები უკვე ჩანს, უახლოეს მომავალში რუსეთის სახელმწიფოდ ქცევის პერსპექტივა ნულს გაუტოლდება. ოლიგარქთა ელიტა ვერასოდეს ეზიარება რუსი ერის კულტურულ-ისტორიულ ფასეულობებს. შედეგად, პრეზიდენტ პუტინის ფრთებქვეშ შეფარებული ბიზნესელიტები, პატარ-პატარ ჯგუფები, რუსეთის პოლიტიკური ისტორიის სანაგვეში აღმოჩნდებიან, მაგრამ რის ფასად?

# ირანი მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში

*თეირანში მიმდინარე საპროტესტო აქციების პარალელურად, ვაშინგტონსა და მსოფლიოს სხვა უძლიერესი სახელმწიფოების დედაქალაქებში ირანთან ურთიერთობის პოლიტიკას განსაზღვრავენ და ამ ქვეყანაში შესაძლო სცენარების განვითარებაზე მსჯელობენ.*




რევაზ ბახტაძე

16 ივნისს ვენაში ირანის ბირთვული პროგრამების განსახილველად ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მმართველი საბჭო შეიკრიბა. საბჭოს წევრებმა ირანის შესახებ სააგენტოს ხელმძღვანელის, მოჰამად ელბარადეის მოხსენება უკვე მოისმინეს. ამ მოხსენებას საბჭოს წევრები ორშაბათიდან ხუთშაბათამდე დეტალურად განიხილავენ.

საინფორმაციო სააგენტო “როიტერმა” ამ მოხსენების ასლი მოიპოვა, სადაც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელი თეირანს იმაში ადანაშაულებს, რომ ამ ქვეყანაში საერთაშორისო ინსპექტორების მუშაობას დაბრკოლებები ექმნებათ.

საერთაშორისო მედიაში ცნობები გაჩნდა, თითქოს, ვაშინგტონს სურს, ურანის წარმოების, შენახვისა და მისი დამალვის საფუძველზე, საერთაშორისო სააგენტომ ხელშეკრულების დარღვევისთვის საჯაროდ დაადანაშაულოს თეირანი.

სავარაუდოდ, ატომური სააგენტოს მმართველი საბჭო ირანს “დამატებითი პროტოკოლის” ხელმოწერას მოსთხოვს, რომელიც საერთაშორისო ინსპექტორებს საშუალებას მისცემს, ირანში უფრო დეტალური და ყოვლისმომცველი შემოწმება ჩაატარონ.

სააგენტოს საბოლოო ვერდიქტამდე კი ევროკავშირმა და რუსეთმა ერთობლივად მოუწოდეს ირანს, რომ “დამატებით პროტოკოლს” ხელი მოაწეროს და საკუთარი ბირთვული პროგრამები უფრო გამჭვირვალე გახადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ირანს ეკონომიკური სანქციებით დაემუქრნენ.

საერთაშორისო ზეწოლის საპასუხოდ, ორშაბათს თეირანმა ოფიციალური საპროტესტო ნოტა გაუგზავნა შეერთებულ შტატებს და ვაშინგტონი თავის საშინაო საქმეებში ჩარევის გამო დაადანაშაულა. დაზვერვის მინისტრმა, ალი იუნესიმ კი აღნიშნა, რომ ”ამერიკა ირანის წინააღმდეგ ფსიქოლოგიურ ომს აწარმოებს”. ეროვნული უშიშროების საბჭოს გავლენიანი მდივნის, მოჰსენ რეზაის აზრით კი, ვაშინგტონი ირანის წინააღმდეგ შემდგომი მოქმედებისთვის ნიადაგს ამზადებს.

არადა, ვაშინგტონელი ანალიტიკოსებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების ერთი ნაწილი აღიარებს, რომ შეერთებულ შტატებს ირანთან ურთიერთობის პოლიტიკა ჯერ საბოლოოდ არ განუსაზღვრავს.

ჯორჯ ბუშის გაპრეზიდენტებისთანავე მისმა მრჩევლებმა ამერიკის ირანულ სტრატეგიაზე დაიწყეს მუშაობა. ვაშინგტონი თეირანს დიდი ხანია ადანაშაულებს ტერორისტების მხარდაჭერის, მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის მცდელობისთვისა და ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის ბოიკოტირების გამო.

მას შემდეგ ორ წელიწადზე მეტი გავიდა და რამდენიმე პროექტიც შეიქმნა, მაგრამ საბოლოო ვარიანტზე შეთანხმება ბუშის მრჩევლებმა ვერ შეძლეს. ამავდროულად, სამთავრობო და სხვა ექსპერტები ირანში შესაძლო სცენარების განვითარებისა და ვაშინგტონის მომავალი პოლიტიკის თაობაზე გამალებით მუშაობენ. აშშ-ს ანალიტიკოსები დარწმუნებულები არიან, რომ 2006 წლისთვის თეირანს ბირთვული იარაღი ექნება.

გავლენიანი ნეოკონსერვატორული ანალიტიკური ცენტრის “ამერიკის მეწარმეთა ინსტიტუტის” ექსპერტი, მაიკლ ლედიენი ეთანხმება მოსაზრებას, რომ საჭიროა კარგად განსაზღვრული, მკაფიო პოლიტიკის შემუშავება. სხვა ნეოკონსერვატორ ინტელექტუალებთან ერთად ლედიენმა ირანის დემოკრატიული კოალიცია დააარსა, რომლის მიზანი დემოკრატიული რევოლუციის წახალისებაა, რათა 1979 წელს ხელისუფლებაში მოსული მოლების რეჟიმი შეიცვალოს.

ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები ირანულ პოლიტიკაზე საუბრისაგან თავს იკავებენ. მათი თქმით, საერთაშორისო აზრი ვაშინგტონის სასარგებლოდ შეტრიალდა - თეირანის ბირთვული პროგრამების გამო, შეშფოთება რუსეთმაც კი საჯაროდ გამოთქვა.

მართალია, ადმინისტრაციის მაღალჩინოსნებმა “რეჟიმის ცვლილებაზე” ღიად საუბარი შეწყვიტეს, მაგრამ ამერიკის ხელისუფლების უკლებლივ ყველა წევრი თეირანში მიმდინარე სტუდენტების საპროტესტო გამოსვლებს მორალურ მხარდაჭერას უცხადებს. სტუდენტები ხუთი დღის განმავლობაში თეირანის ქუჩებში გამოდიან და კლერიკალების ხელისუფლების შეცვლას მოითხოვენ.

ირანის ბირთვულმა პროგრამებმა და ალ-ქაიდასთან შესაძლო კავშირებმა ირანული პოლიტიკის თაობაზე ამერიკის ადმინისტრაციაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა გაამწვავა. ადრე სახელმწიფო დეპარტამენტი რეფორმატორ ლიდერებთან დიალოგის გაღრმავებაზე ამახვილებდა ყურადღებას, პენტაგონი კი რეჟიმის დესტაბილიზაციაზე იყო ორიენტირებული.

“ვაშინგტონ პოსტი” იუწყება, რომ ამჟამად უწყებრივი დაპირისპირება იმდენად გამძაფრდა, რომ თითოეული მხარე ერთმანეთს ადანაშაულებს მედიაში ინფორმაციის განზრახ გაჟონვის გამო.

მართალია, ბუშის ადმინისტრაცია ირანის ხელისუფლებასთან შერიგებაზე არ ფიქრობდა, მაგრამ ბოლო დრომდე ვაშინგტონი თეირანთან ავღანეთისა და ერაყის თაობაზე დიპლომატიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა. ამერიკა-ირანის რამდენიმე დიპლომატიური რაუნდი ჟენევასა და პარიზში შედგა და, ამერიკული მედიის ცნობით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში პროგრესიც კი შეინიშნებოდა. თუმცა, 12 მაისს საუდის არაბეთში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ მოლაპარაკებები შეწყდა, ვაშინგტონმა კი ირანში მოსალოდნელ სახალხო მღელვარებაზე დაიწყო ლაპარაკი.

სენატორ სემ ბრაუნბეკის ინიციატივით, კონგრესში დაუყოვნებლივ მიიღეს დადგენილება - 50 მილიონი ამერიკული დოლარი გამოიყო ირანში პროდემოკრატიული მოძრაობის მხარდასაჭერად. ამ სახსრებით ამერიკაში ემიგრირებულმა ირანელებმა სპარსულენოვანი ტელევიზია და რადიოსადგურები გახსნეს კალიფორნიაში. ახალი მაუწყებლობა მიზნად ისახავს ირანელებისათვის განსხვავებული აზრის მიწოდებას და ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლისკენ მოუწოდებს.

კონკრეტულად რა სახით უნდა დაუჭიროს მხარი შეერთებულმა შტატებმა დემომონსტრანტებს, ეს ვაშინტონში, მათ შორის - კონსერვატორ პოლიტიკოსებშიც, ცხარე დებატების საგანია. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ირანი რევოლუციისთვის მზად არის. სხვების აზრით, ირანი ბირთვული იარაღის დამზადებას მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეძლებს. მანამდე კი შეერთებულმა შტატებმა სხვა ალტერნატივები უნდა განიხილოს. ვაშინგტონის ადმინისტრაცია არ გამორიცხავს ირანის ბირთვულ რეაქტორებზე წერტილოვანი დარტყმების განხორციელებასაც.

ანალიტიკოსების ერთი ნაწილის აზრით, აშშ-ის საფინანსო დახმარება და პროპაგანდა ირანის დემოკრატიულ მოძრაობაზე, შესაძლოა, უარყოფითადაც აისახოს. “ამერიკის ამგვარი ქმედება საშუალებას აძლევს კონსერვატორ კლერიკალებს, რომ ხალხს საგარეო საფრთხის არსებობაზე მიუთითონ. ამის საფუძველზე კი ამტკიცონ, რომ დემონსტრაციების დარბევა და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა ეროვნული ერთიანობისთვის აუცილებელია”, - აღნიშნავს ირანული პროდემოკრატიული ჟურნალის, “დიალოგის” რედაქტორი, კავე ეჰსანი. “ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს, ბუშის ადმინისტრაციასა და ირანელ კონსერვატორებს შორის ბინძური ალიანსი არსებობს”, - დასძინა მან.

# ახალი ინიციატივების ტალღა ახლო აღმოსავლეთში

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ ახალი მრავალმხრივი მოლაპარაკებები გაიმართა ბოლო დროს გამწვავებული ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის სამშვიდობო ჩარჩოში მოქცევის მიზნით. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-ს სპეციალურმა წარგზავნილმა, ჯონ ვულფმა ისრაელის პრემიერ-მინისტრ არიელ შარონთან იერუსალიმში შეხვედრა გამართა. პარალელურად, პალესტინის პრემიერ-მინისტრი მაჰმუდ აბასი, იგივე აბუ მაზენი ქალაქ ღაზაში პალესტინის რადიკალური დაჯგუფების ლიდერებს შეხვდა. მის მიზანს სამშვიდობო პროცესის გაგრძელების და ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობაში "ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" ხელმძღვანელთა დარწმუნება წარმოადგენდა.

უნდა ითქვას, რომ დიპლომატ ჯემს ვულფის ვიზიტის განრიგი საკმაოდ გასაიდუმლოებულია. აშშ-ს საელჩო ისრაელში უარს აცხადებს, გასცეს ინფორმაცია დაგეგმილი შეხვედრების თაობაზე. ცხადია, ჯეიმს ვულფს საკმაოდ რთული და, ამავე დროს, უმნიშვნელოვანესი მისია აკისრია.

მან დაპირისპირებულ მხარეებს შორის ის სამშვიდობო პროცესი უნდა განაახლოს, რომელიც იორდანიაში ჯორჯ ბუშის ვიზიტის და ახლო აღმოსავლეთის სამიტის შემდეგ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ სამიტის დასრულებისთანავე ძალადობის ესკალაციამ ჩაშლის საფრთხე შეუქმნა. მარტო გასულ კვირას, ებრაელების და პალესტინელების შეტაკებებს და ტერაქტებს 60 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ გარემოებით შეშფოთებულმა აშშ-ს პრეზიდენტმა "ჰამასის" ტერორისტული უჯრედების ლიკვიდაციის მოწოდება გაავრცელა. თეთრი სახლის მეთაური მშვიდობის დარღვევის მთავარ მიზეზად "ჰამასის" და სხვა რადიკალურ დაჯგუფებებს ასახელებს.

ამ შაბათ-კვირას სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" სარეალიზაციოდ ორი განსხვავებული და, ამავე დროს, ურთიერთდაკავშირებული ინიციატივა გამოჩნდა.

პირველის თანახმად, ისრაელის არმიის ნაწილებმა ღაზას სექტორი მთლიანად უნდა დატოვონ, რის შემდეგაც რაიონში უსაფრთხოების განმტკიცებაზე პასუხისმგებლობა პალესტინის ადმინისტრაციას უნდა დაეკისროს.

მეორე გეგმის მიხედვით კი, ისრაელსა და "ჰამასს" შორის შეთანხმების მისაღწევად ყველა საშუალება უნდა იქნას გამოყენებული.

ზოგიერთი დამკვირვებელი ისრაელის არმიის მიერ ღაზას სექტორის დატოვებას საეჭვოდ მიიჩნევს, რადგან ტელ-ავივი ცეცხლის შეწყვეტის პირობის გარეშე ტერიტორიას არ დატოვებს. ამდენად, პირველი ინიციატივის განხორციელების პერსპექტივა, ჯერჯერობით, ბურუსით არის მოცული.

რაც შეეხება მეორე გეგმას, დამკვირვებლებს იგი საერთოდ არარეალურად მიაჩნიათ, რადგან "ჰამასის" წარმომადგენლებმა გარკვევით და მტკიცედ დააფიქსირეს, რომ სიტყვას "შერიგება" ისინი საერთოდ არ ცნობენ. ისრაელი კი თავის მხრივ აცხადებს, რომ "ჰამასის" ლიდერების ლიკვიდაციის მიზნით სპეცოპერაციებს მომავალშიც გააგრძელებს.

სამშვიდობო მოლაპარაკებათა პროცესში აქტიურად ჩაერთო ოფიციალური კაირო. კერძოდ, ეგვიპტის დაზვერვის წარმომადგენლებმა "ჰამასის" ლიდერებთან შეხვედრები გამართეს. ისინი ქალაქ ღაზაში პალესტინის ყველა რადიკალური დაჯგუფების ლიდერთა შეხვედრის ორგანიზებას ცდილობენ, სადაც ცეცხლის შეწყვეტის საკითხი უნდა განიხილონ. "ჰამასის" წარმომადგენელმა ისმაილ აბუ შანაბმა განაცხადა, რომ ეგვიპტელებმა მათ რამდენიმე წინადადება შესთავაზეს, რომელსაც ორგანიზაცია ამ დღეებში განიხილავს. აბუ შანაბმა არ გაამხილა, თუ რა ინიციატივით წარსდგა მათ წინაშე ეგვიპტის დაზვერვა.

თავისი გეგმა წამოაყენა გაერო-ს გენერალურმა მდივანმაც. როგორც ვიუწყებოდით, კოფი ანანმა კონფლიქტის ზონაში გაერო-ს სამშვიდობო ძალების შეყვანის შესახებ გააკეთა განცხადება.

ამ ინიციატივას საერთაშორისო გამოხმაურება უკვე მოჰყვა. გუშინ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დომინიკ დე ვილეპენმა განაცხადა, რომ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე საფრანგეთის მხარე დააყენებს საკითხს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნის თაობაზე. უნდა ითქვას, რომ ისრაელის მხარემ კოფი ანანის ამ ინიციატივას "ცუდი იდეა" უწოდა, მაშინ, როდესაც პალესტინის ადმინისტრაციამ ეს წინადადება მოიწონა.

პარალელურად, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში კიდევ ერთი იდეა წარმოიშვა. კერძოდ, აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, შესაძლოა, აშშ-ს სამხედრო ძალებმა ახლო აღმოსავლეთის ტერორისტული დაჯგუფებების განადგურების მიზნით სპეცოპერაციები განახორციელონ. კერძოდ, სენატორმა რიჩარდ ლუგარმა განაცხადა, რომ აშშ-ს არმიის დანაყოფებმა, შესაძლოა, დამოუკიდებლად ან საერთაშოროსო ძალების ფარგლებში იმოქმედონ.

ასეთ ინტერვენციას ისრაელის მხარე კატეგორიულად ეწინააღმდეგება. როგორც ჩანს, ტელ-ავივი "ჰამასის" და სხვა დაჯგუფებების განადგურებას საკუთარი ძალებით აპირებს. თუმცა, სულ ერთი კვირის წინ უმაღლეს დონეზე დაგეგმილი სპეცოპერაცია, "ჰამასის" ლიდერის ლიკვიდაციის მიზნით, უშედეგოდ დასრულდა. ასეთი ოპერაციები კი ძალადობის ახალ ფაქტებს წარმოშობს და კონფლიქტი სულ უფრო და უფრო გამოუვალ ჩიხში შედის.

თუ რას მოიტანს ამ კვირის ახალი ინიციატივები, ამასაც მალე შევიტყობთ.

# სპეცოპერაცია საუდის არაბეთში

საუდის არაბეთის პოლიციამ "ალ-ქაიდასთან" კავშირში ეჭვმიტანილი ექვსი პიროვნება დააკავა. საუდის არაბეთის სპეცსამსახურების მონაცემებით, დაპატიმრებული პირები ქალაქ მექაში ტერაქტების სერიას გეგმავდნენ. მათი დაპატიმრება შაბათს ჩატარებული სპეცოპერაციის გაგრძელებას წარმოადგენდა. შაბათს, საუდის არაბეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა მექაში ოპერაციის დროს ხუთი ადამიანი მოკლეს, ხოლო ხუთიც დააპატიმრეს. ორმხრივი სროლის დროს უშიშროების ძალების ორი თანამშრომელი დაიღუპა. როგორც იტყობინებოდნენ, რეიდის დროს, რამდენიმე ეჭვმიტანილმა მიმალვა მოახერხა. გუშინწინ სწორედ ამ ტერორისტების დაპატიმრება გახდა შესაძლებელი. დაკავებულებს ბრალი ედებათ 12 მაისს ერ-რიადში მასშტაბური ტერაქტის განხორციელებაში, რომლის დროსაც 35 ადამიანი დაიღუპა.

# რუსეთს მეექვსე ვიცე-პრემიერი ჰყავს

გუშინ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა კიდევ ერთი ვიცე-პრემიერი დანიშნა. კერძოდ, რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელის მოადგილის პოსტი სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორმა ვლადიმირ იაკოვლევმა ჩაიბარა. ხოლო სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორის მოვალეობას მისი მოადგილე ალექსანდრ ბეგლოვი შეასრულებს. ვიცე-პრემიერის პოსტის გარდა, პრეზიდენტმა პუტინმა იაკოვლევი "სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის" მეოთხე ხარისხის ორდენითაც დააჯილდოვა. უკვე ცნობილი გახდა, რომ ვიცე-პრემიერის რანგში იაკოვლევი საბინაო-კომუნალურ საკითხებს გაუწევს კურირებას. გარდა ამისა, მისი გამგებლობის სფეროში შევა რუსეთის ქალაქების მშენებლობის და განვითარების საკითხები და სატრანსპორტო კომპლექსი.

ვლადიმირ იაკოვლევი წარმოშობით იაკუტიადანაა. ის 1996 წლიდან სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორის პოსტზე ორჯერ იყო არჩეული. ამიერიდან, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრს ექვსი მოადგილე ეყოლება.

# აურზაური არაფრის გამო

ბოლო დღეებში გერმანულ მედიაში ნამდვილი სკანდალი აგორდა. მისი მიზეზი, ნარკოტიკების შენახვის ბრალდებით, ქვეყნის ებრაული დიასპორის ერთ-ერთი ლიდერის დაკავება გახდა. 4 დღის მანძილზე სატელევიზიო ახალი ამბების ყველა გამოშვება ამ ფაქტით იწყება.

გერმანიის ებრაელთა ცენტრალური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტის მიშელ ფრიდმანის სახლი პოლიციამ გაჩხრიკა და კოკაინის სამი პაკეტი აღმოაჩინა. ამჟამად მისი თმის ღერების ექსპერტიზა ტარდება, რამაც უნდა გამოავლინოს, იღებდა თუ არა ფრიდმანი ნარკოტიკებს.

ფრიდმანი საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, როგორც სახელმწიფო ტელევიზიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური პოლიტიკური ტოკ-შოუს წამყვანი.

ყველაფერს, რაც ისრაელს და ებრაელებს უკავშირდება, გერმანიაში განსაკუთრებული სიფრთხილით აღიქვამენ. მიზეზი ყველასათვის ცნობილია: მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტების მიერ 6 მილიონი ებრაელის ამოწყვეტა.

გერმანიის ებრაული დიასპორა უკმაყოფილოა იმით, რომ ასეთი უმნიშვნელო (თუმცა, მის ჩამდენს ხუთწლიანი პატიმრობა ემუქრება) დანაშაულის გამო ამხელა სკანდალი აგორდა. ისინი ამტკიცებენ, რომ ფრიდმანი ებრაელი რომ არ ყოფილიყო, ამ ამბავს ყურადღებასაც არავინ მიაქცევდაო. გერმანელები კი ამტკიცებენ - მისი ეთნიკური წარმოშობა არაფერ შუაშია; ფრიდმანის დაკავებამ აურზაური იმიტომ გამოიწვია, რომ თავისი პროვოკაციული კითხვების გამო, ქვეყნის ტელევიზიაში იგი ერთ-ერთი ყველაზე საძულველი ფიგურა იყოო.

## „მარიოტის" პატარა ძმობილები



ეს მინდა, ის მინდა, ისმოდა მორიდებულად

თბილისის №2 დამხმარე სკოლა-ინტერნატის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს გუშინ სასტუმრო "მარიოტში" უმასპინძლეს. პატარების საქველმოქმედო მიღება ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ჯერ საზეიმო ფურშეტი გაიმართა, რომელიც "მარიოტის" ფრანგმა მზარეულმა მოამზადა. ბავშვებს არც კი სჯეროდათ, რომ ყველაფერი მათ ეკუთვნოდათ. ეს მინდა, ის მინდა, - ისმოდა მორიდებული ხმები. მიდით, აიღეთ, - იყო ხალისიანი პასუხი.

დანაყრების შემდეგ თოჯინების სპექტაკლი დაიწყო, რომელმაც პატარა სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია.

"მარიოტის" გენერალური მენეჯერი, იგალ პორეცკი: "ამ ბავშვებთან ერთწლიანი მეგობრობა გვაკავშირებს. ამჯერად გადავწყვიტეთ, ჩვენთან მოგვეწვია და გავმასპინძლებოდით. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მოეწონებათ, იმიტომ რომ ჩვენმა მზარეულმა მთელი გული და სული ჩადო ამ საქმეში. რაღა თქმა უნდა, მეგობრობას გავაგრძელებთ და ბავშვებს საშობაოდაც კარგ სიურპრიზს მოვუმზადებთ."

სკოლა-ინტერნატის დირექტორი, მარინა უჯმაჯურიძე: "ერთი წელია, რაც "მარიოტი" ჩვენ ბავშვებთან მეგობრობს. მოდიან, ნახულობენ და ძალიან ბევრი საჩუქარიც მოაქვთ.

დღეს კი ასეთი ლამაზი შეხვედრა მოუწყეს. დამერწმუნეთ, ბავშვებისთვის ეს ნამდვილი დღესასწაულია. მათთვის ასეთ ყურადღებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მოვუწოდებ ყველა ქველმოქმედს, ყურადღება მიაქციონ დღევანდელ აქციას".

გლდანის სკოლა-ინტერნატში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 182 ბავშვია, რომელთაგან ნაწილს მშობლები საერთოდ არ ჰყავს. ამის მიუხედავად, მზრუნველობა არავის აკლია და მათ თავის გამოჩენის საშუალებაც აქვთ, თუნდაც, სპორტში - გუშინ სკოლა-ინტერნატის 4 აღსაზრდელი ირლანდიაში გაფრინდა სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისათვის. იმედია, ჩვენი პატარები გამარჯვებულები დაბრუნდებიან.

*24 საათი*

## პირველი კლასი

ახლოვდება პირველი სექტემბერი - ვისთვის მომდევნო, ვისთვის პირველი სასწავლო წელი; მშობლებისთვის კი დამაფიქრებელი, რაც სასკოლო სახელმძღვანელოებს უკავშირდება.

თბილისის საკრებულოს განათლების კომიტეტსა და გამომცემლებს შორის შეხვედრა და შეთანხმება შედგა, რომლის საუბრის თემა პირველკლასელთა სახელმძღვანელოები იყო. სათანადო თანხები გამოყოფილია, პირველკლასელები სასკოლო წიგნებს საკრებულოსგან საჩუქრად მიიღებენ. თბილისის საკრებულოს განათლების კომიტეტი მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს ელის მერიის განათლების განყოფილებისგან - რამდენი პირველკლასელია და რა სახის სახელმძღვანელოები ესაჭიროებათ მათ.

*24 საათი*

## არაბულს ისევ ართმევენ ეზოს

დიდი ხანია მიმდინარეობს სასამართლო დავა მწოლიარე მწერლის მიხა არაბულის ეზოს გარშემო. მეზობელი არაბულის ეზოს ნაწილს ითხოვს, - სამანქანო გზა მინდაო. საოლქო სასამართლოს კოლეგიის გუშინდელი გადაწყვეტილებით, 30 ივნისს, დილის 11 საათზე მოხდება არაბულის ეზოს დათვალიერება, ხოლო იმავე დღის 15 საათზე გაიმართება სასამართლოს მთავარი სხდომა. შედეგი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ღვაწლმოსილ კაცს დახმარების ნაცვლად, დამატებითი პრობლემები რომ ექმნება, ცხადია.

*24 საათი*

## მოკლედ

**თბილისი.** როგორც იქნა, ჩვენი პრეზიდენტის ყურამდე მივიდა, რომ სიგარეტის მოწევამ ქვეყანაში საგანგაშო მასშტაბებს მიაღწია. "ეს, ლამის, მოდად იქცა მცირეწლოვნებში, მათ შორის, გოგონებში", - შეშფოთება ვერ დამალა ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში ედუარდ შევარდნაძემ და, ვიდრე ეს გვიანი არ არის, ამ სენის დასაძლევად ქვეყანას საერთო-სახალხო მოძრაობისკენ მოუწოდა. პრეზიდენტი ტრეფიკინგის პრობლემებითაც დაინტერესდა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან აშშ-ში ამ საკითხთან დაკავშირებით გაზვიადებული ინფორმაცია გადაიცა, ხელისუფლება მაქსიმალურად თვითკრიტიკული უნდა იყოს, როდესაც მეგობარი სახელმწიფო ურჩევს გააძლიეროს ტრეფიკინგთან ბრძოლა. "ამაზე თვალის დახუჭვა სწორი არ იქნება", - ამბობს ედუარდ შევარდნაძე და მათ, ვისაც ჯერ არს, სხვა სახელმწიფოების გამოცდილების შესწავლისკენ მოუწოდებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური მოძრაობის, "მრეწველობა გაადაარჩენს საქართველოს" ქალთა კომიტეტის ინიციატივით, გუშინ და დღეს გლდანი-ნაძალადევის რაიონის მოსახლეობას მე-8 საავადმყოფოში უფასო სამედიცინო გამოკვლევები უტარდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დევნილთა კომპიუტერული სიების პროგრამული დამუშავებისას გამოვლინდა 72 პირი, რომლებიც შემწეობებს ერთდროულად სხვადასხვა ადგილას იღებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** კვირას, ღამით აფხაზეთიდან დევნილებმა ზუგდიდის რაიონში სარკინიგზო მაგისტრალი გადაკეტეს. უკვე რამდენიმე დღეა მათ ელექტროენერგია და წყალი საერთოდ არ მიეწოდებათ. ისინი 8-საათიან გრაფიკს მოითხოვენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებული ოთხი ტყუპიდან ერთ-ერთის მდგომარეობა გაუმჯობესდა, დანარჩენი სამი მართვის აპარატზეა შეერთებული. ექიმები ჯერჯერობით ზუსტ პროგნოზს ვერ აკეთებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დასავლეთ ევროპის ეპარქიის მეთაურის, მიტროპოლიტ აბრაამის კურთხევით, ბერლინში ქართული საკვირაო სკოლა იხსნება. დაგეგმილია რეგულარული ქართულ და გერმანულენოვანი სამრევლო გაზეთის გამოცემაც. **ინტერ-პრესი**

# ბლოკადა თბილისურად

ნანა კადაგიშვილი

*საკრებულომ ხელისუფლებას დაასწრო და გუშინ პედაგოგები სხდომაზე მიიწვია. ვიცით, რომ სახელისუფლებო ბლოკი თქვენთან შეხვედრას გეგმავს, ისიც ვიცით, რასაც გეტყვიან, მაგრამ არ დაუჯეროთო, - განუცხადეს საკრებულოს წევრებმა უხელფასოდ დარჩენილ მასწავლებლებს. ორი თვის ხელფასების გაუცემლობას ცენტრალური და ქალაქის ხელისუფლება ერთმანეთს აბრალებს. სიმართლე კი ის არის, რომ სასწავლო წელი დასრულდა და პედაგოგებს მაისის თვის ხელფასი და საშვებულებო თანხა არ მიუღიათ. ამის გარდა, ქალაქში თითქმის არც ერთი სოციალური პროგრამა არ ხორციელდება.*



საკრებულოში მოიფიქრეს, როგორ გაისტუმრონ პედაგოგთა დავალიანებები.

"ცენტრალური ხელისუფლება ქალაქს მიზანმიმართულად ბლოკავს და დედაქალაქის სოციალურ პროგრამებს არ აფინანსებს. წლის დასაწყისიდან დღემდე ფინანსთა სამინისტროს ქალაქის სოციალური პროგრამებისთვის 17 მლნ. ლარი უნდა გადმოერიცხა, ამის ნაცვლად კი 1 800 ათასი გადმორიცხა, ანუ სოციალური პროგრამები მხოლოდ 30 პროცენტით დააფინანსა. ამის გამო, თბილისში ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამები აღარ ხორციელდება. ცენტრალური ხელისუფლება კი ხელს საკრებულოსკენ იშვერს და თბილისის მოსახლეობას "უჩიჩინებს", - პენსიები და ხელფასები ქალაქის მთავრობას მოჰკითხეთო. სინამდვილეში კი დამნაშავეა პრეზიდენტი და ფინანსთა სამინისტრო. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ქალაქს საკუთარი საგადასახადო და ხაზინა არ აქვს, - განუმარტეს მიწვეულ პედაგოგებს საკრებულოს წევრებმა და თან თავიც მოაწონეს. - საკრებულომ იმდენს მაინც მიაღწია, რომ ბანკიდან კრედიტს აიღებს და მაის-ივნისის თვის ხელფასების დარიგება ამ თვის ბოლოდან დაიწყება. ამ სხდომიდან კი ისე არ დავიშლებით, გამოსავალი არ მოვძებნოთ, რომ მსგავსი პრობლემები აღარ შეიქმნას". თუმცა, საკრებულოს წევრებს ტრადიციისთვის არც გუშინ უღალატიათ და პედაგოგთა პრობლემებიდან პოლიტიკურ განცხადებებსა და ერთმანეთის ლანძღვაზე გადავიდნენ. ამჯერად "გაერთიანებული დემოკრატები" და "ლეიბორისტები" "შეიბნენ," ერთმანეთს სულ მოღალატეები და კანცელარიის მომხრეები ეძახეს და რეალური გამოსავლის მოძებნა გადაავიწყდათ.

იმედს ვერც ფინანსთა სამინისტრო იძლევა. "საკრებულო უნდა დაფიქრდეს, რა სისულელეს ლაპარაკობს. ჩვენ რატომ უნდა გვინდოდეს, რომ პენსიებისა და ხელფასების გაცემა დაგვიანდეს? ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსება მთელს ქვეყანაში ჭიანურდება, ქალაქის ბიუჯეტთან კი ფინანსთა სამინისტრო არაფერ შუაშია. მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები ეროვნულ ბანკში შედის და ბანკი ანაწილებს ცენტრალურსა და ქალაქის ბიუჯეტში გადასარიცხ თანხებს", - აცხადებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ვასილ გიგოლაშვილი.

მერიის ფინანსთა სამმართველოს ხელმძღვანელის, ამირან ძებისაშვილის განმარტებით, ფინანსთა სამინისტრო მაინც დამნაშავეა. "ქალაქის ბიუჯეტში მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების 85 პროცენტი, მართლაც, ეროვნული ბანკიდან ნაწილდება, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ბანკში შემოსავლები არ შესულა, ამაში კი დამნაშავე საგადასახადო სამსახურებია, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარება", - აცხადებს იგი.

## „ვისმინოთ, ერთად!"

ლელა მარგიანი

*გუშინ სმენადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკურ ბაგა-ბაღში უჩვეულო სტუმრიანობა იყო. საჩუქრებით ხელდამშვენებულ სტუმართა შორის იყვნენ განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს "წითელი ჯვრის" პრეზიდენტი, საერთაშორისო ასოციაციის "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" თანამშრომლები, ჟურნალისტები. მათ სტუმრობას ორი მიზეზი ჰქონდა: საბავშვო ბაღის გამოსაშვები ჯგუფის ზეიმი და არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტის პრეზენტაცია.*

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, 14 ივნისი საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღედ გამოცხადდა. "სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციამ" თავისი ახალი პროექტის, "ვისმინოთ, ერთად!" პრეზენტაცია ამ თარიღს დაუკავშირა. ორგანიზაცია "მერსი ქორის" მიერ დაფინანსებული პროექტი სმენადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკურ ბაგა-ბაღში ხორციელდება. პროექტის მიზანია ბაღის აღსაზრდელების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, საკორექციო ჯგუფის შექმნა, მშობლებთან და პედაგოგებთან მუშაობა, საინფორმაციო ბიულეტენების გამოცემა და სმენადაქვეითებული ბავშვების საერთო სასწავლო პროცესში ჩართვა.

ასოციაციის პრეზიდენტის, მაია ასაკაშვილის თქმით, "მშობელს მთავარი როლი აკისრია უნარშეზღუდული ბავშვის აღზრდის პროცესში. მოუმზადებელი მშობელი ხშირად თავად უწყობს ხელს შვილის არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბებას. უნარშეზღუდულ ბავშვებს არ სჭირდებათ ჩვენი შეცოდება და სიბრალული, მათ მხოლოდ საზოგადოების მხარდაჭერა, სრულფასოვან წევრებად აღიარება უნდათ".

ამ განწყობით მუშაობენ სმენადაქვეითებულ ბავშვებთან, დოდო ჩიკვაიძის ხელმძღვანელობით, ბაგა-ბაღის პედაგოგები და სპეციალისტები, რომელთა შორისაა პედაგოგიური უნივერსიტეტის საკორექციო პედაგოგიკის კათედრის დოცენტი, ეთერ ხუფაცარია, რომელმაც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ "პროექტის ფარგლებში ორი თვეა ფუნქციონირებს საკორექციო ჯგუფი, სადაც 15 ბავშვია, სპეციალურად სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის შედგენილია სასწავლო გეგმა და პროგრამები, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ბაღის პირველ სართულს, სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის შეიძინეს სპეციალური "ხმაურიანი" სათამაშოები".

ქალბატონმა ეთერმა გვითხრა, რომ "თუ სმენადაქვეითებულ ბავშვს არ აქვს მეორადი გადახრა ანუ სმენის დაქვეითებას არ ემატება სხვა უნარშეზღუდვა, ასეთ ბავშვებს მკურნალობის შემდეგ შეუძლიათ ჩვეულებრივ სკოლებში სწავლა. თუ ადრეული ასაკიდანვე დავიწყებთ ყრუ ბავშვებთან მუშაობას, როგორც ეს ხდება ბელგიაში, ამერიკაში და გერმანიაში, ბავშვების 80 პროცენტი შეძლებს ჩვეულებრივ სკოლაში სიარულს".

ფოსტა

## სამ დღეში გაზს გავთიშავთ!

*რედაქციაში ვაკის რაიონის გაზის N5 ცენტრის 31 თანამშრომლის წერილი მოვიდა. ხელფასების მოთხოვნით, ავტორები თბილგაზის გენერალურ დირექტორსა და ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართავენ. მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, ვაკის რაიონისთვის გაზის გამორთვით იმუქრებიან. გთავაზობთ წერილს:*

მოგახსენებთ, რომ ვაკის რაიონის მე-5 ცენტრის თანამშრომლები: ზეინკლები, ოსტატები, ინკასატორები და ა.შ. პირნათლად ვასრულებთ ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ჩვენს რაიონში არ ყოფილა არც ერთი უბედური შემთხვევა, არც ერთი ავარია. მოსახლეობიდან თანხების ამოღების მაჩვენებელი კი, სხვა რაიონებთან შედარებით, მაღალია.

რაც შეეხება ხელფასებს, უკვე მეექვსე თვე მიდის, არ აგვილია. გვპირდებიან, - ამ კვირაში იქნებაო, შემდეგ - იმ კვირაშიო, შემდეგ - იმ თვეშიო, - და ასე, დაპირებებში და ტყუილებში გადის დღეები და თვეები.

მოვითხოვთ ხუთი თვის ხელფასს, უკლებლივ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავიწყებთ სახლებისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტას და რამდენიმე დღეში ვაკეში გაზს მთლიანად გამოვრთავთ. ინკასატორებიც შეწყვეტენ მოსახლეობიდან ფულის ამოღებას, რადგან ჩვენს მუშაობას არავითარი დაფასება და დაინტერესება არ აქვს.

თუ ჩვენს მოთხოვნებს განცხადების დაწერიდან სამ დღეში არ დააკმაყოფილებთ, ვიმეორებთ, ვაკეს შევუწყვეტთ გაზის მიწოდებას, რაზეც პასუხს არ ვაგებთ.

MBG ემბიჯი
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

MBG-ბანკი გთავაზობთ
სესხებს თქვენი ბიზნესისათვის

საშუალო სესხი:
თანხა: $10.000-50.000
წლიური 18%-დან

ინვესტ სესხი:
თანხა: $50.000-დან
წლიური 16%-დან

ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
Email: central@mbg.com.ge

ვაკის განყოფილება
0179 თბილისი
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
Email: vake@mbg.com.ge

0112 თბილისი
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
Email: stationsquare@mbg.com.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
Email: gldani@mbg.com.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 270) 2-16-09
ფაქსი: (995 32) 33-46-78; 33-46-58
Email: gori@mbg.com.ge

საბურთალოს განყოფილება
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
Email: saburtalo@mbg.com.ge

მარნეულის განყოფილება
3000 მარნეული
ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50
ფაქსი: (995 32) 94-31-36
Email: marneuli@mbg.com.ge

ვარკეთილის ფილიალი
0182 თბილისი
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
Email: varketili@mbg.com.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4 33-46-58
Email: poti@mbg.com.ge

0115 თბილისი
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
Email: lilo@mbg.com.ge

ქობულეთის განყოფილება
6201 ქობულეთი
ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439
Email: kobuleti@mbg.com.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-04
Email: kutaisi@mbg.com.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
ტელ: (995 88 222) 7-24-20
ფაქსი: (995 88 222) 7-19-54
Email: batumi@mbg.com.ge

ქუთაისის განყოფილება
4600 ქუთაისი
ტელ: (995 231) 4-87-05
Email: kutaisioutlet@mbg.com.ge

ბათუმის განყოფილება
6000 ბათუმი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 88 222) 7-74-19
ფაქსი: (995 88 222) 7-74-19
Email: batumioutlet@mbg.com.ge

ზუგდიდის განყოფილება
2100 ზუგდიდი
ტელ: (995 215) 5-11-23
ფაქსი: (995 32) 93-43-74
Email: zugdidi@mbg.com.ge

www.mbg.com.ge

# პრეზიდენტის შენიშვნის შემდეგ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება

თეა ხოფერია

*24 მარტის ამბოხებაში ბრალდებულ ვეტერან გვარდიელთა ბედი პირველი ინსტანციის სასამართლომ არაერთგვაროვნად გადაწყვიტა. გუშინ ვეტერან გვარდიელთა ადვოკატების შუამდგომლობა, რომლითაც ისინი პატიმართა გათავისუფლებას ითხოვდნენ, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ არ დააკმაყოფილა, რითაც გენერალური პროკურატურის მოთხოვნა ძალაში დატოვა.*



"სანამ ყველას არ აგვიყვანენ, სიცილ-ხარხარს არ მოეშვებით?!" განაცხადა მთავრობის სხდომაზე ედუარდ შევარდნაძემ.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

თუმცა, სასამართლოს თავმჯდომარემ ერთი გამონაკლისი მაინც დაუშვა და გვარდიელი ზაზა სარაჯიშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლა. მოსამართლე მამუკა სონღულაშვილმა ვეტერან გვარდიელს შემამსუბუქებელ გარემოებად მისი მძიმე ოჯახური პირობები ჩაუთვალა და მას შინა პატიმრობა მიუსაჯა.

მოსამართლის ბრძანებით, დანარჩენი ხუთი ტუსაღი კვლავ ორთაჭალის ციხეში დააბრუნეს.

პატიმართა ადვოკატები სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა სონღულაშვილის გადაწყვეტილებას პოლიტიკური ზეწოლის შედეგად მიიჩნევენ და მის საოლქო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებენ.

ადვოკატ სევდია უგრეხელიძის განცხადებით, მოსახლეობა მოწმე გახდა, თუ როგორ ჩაერია მთავრობა და, პირადად, პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე სასამართლო პროცესის მსვლელობაში.

**"არც ერთ მინისტრს არა აქვს უფლება, პროკურატურის საქმიანობაში ჩაერიოს... მაშინ, როდესაც პრეზიდენტი ამგვარ კომენტარებს აკეთებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის სამართალწარმოებას პოლიტიკურ გავლენის ქვეშ აქცევს,"** – განაცხადა სევდია უგრეხელიძემ.

საუბარია 14 ივნისის მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტის მიერ ამბოხების საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით გაკეთებულ მკაცრ შენიშვნაზე. ედუარდ შევარდნაძემ სასამართლო პროცესის არასწორად წარმართვაში ანუ იმაში, რომ სასამართლომ ოთხი ამბოხებული თავდებით გაათავისუფლა პატიმრობიდან, გენერალური პროკურატურა დაადანაშაულა. **"საქმემ, რომელსაც შეიარაღებული აჯანყების კვალიფიკაცია ჰქონდა მინიჭებული, გამოძიების პროცესში აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსი მიიღო და პროკურატურა სასამართლოზე ბრალდებულების ადვოკატად წარმოჩინდა. მსგავსი დამოკიდებულებით საქმე შეიძლება უმართავ პროცესებამდე მივიდეს, რომლის შეჩერება მერე ველარ ხერხდება ხოლმე,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

როგორც ცნობილია, 24 მარტს ისნის სამხედრო ნაწილში მომხდარ ამბოხებას, თავდაპირველად, გენერალურმა პროკურატურამ მძიმე დანაშაულის კვალიფიკაცია მისცა. მაშინ ვეტერანი გვარდიელები ამბოხების მოწყობაში იყვნენ ბრალდებულნი. თუმცა, ცოტა ხნის წინ, საკმარისი მტკიცებულებების უქონლობის გამო, დაპატიმრებულებს მძიმე ბრალდება მოეხსნათ და ვეტერანი გვარდიელები მხოლოდ იარაღისა და სხვა მძიმე ტექნიკის უკანონოდ მოპოვებისა და შენახვის, ასევე განსაკუთრებულად სტარეტეგიული მნიშვნელობის ტერიტორიის ბლოკირებაში დაადანაშაულეს. **"საუბარი იყო შეიარაღებული აჯანყების მცდელობაზე, არსებობდა ინფორმაცია, რომ ამბოხებულებს სხვებიც უნდა შეერთებოდნენ... სანამ ყველას არ აგვიყვანენ, სიცილ-ხარხარს არ მოეშვებით?!"** – განაცხადა მთავრობის სხდომაზე ედუარდ შევარდნაძემ.

პრეზიდენტმა სწორედ ბრალდების შემსუბუქების გამო გააკრიტიკა გენერალური პროკურატურა და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს თავმჯდომარეს ზეპირი მინიშნებაც კი მისცა სასამართლო განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებით.

მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს თავმჯდომარის გუშინდელ გადაწყვეტილებაზე მთავრობის ზეწოლამ გავლენა იქონია თუ არა, ამის ხელაღებით მტკიცება ძნელია. თუმცა, ერთი რამ ნათელია - ვეტერან გვარდიელთა პროცესი შაბათს, იმ დღეს ჩატარდა, როცა პრეზიდენტის კანცელარიაში მთავრობის სხდომა მიმდინარეობდა, სადაც პრეზიდენტი მკაცრ მითითებებს იძლეოდა. შაბათს დილით დაწყებული პროცესი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გადადებულად გამოცხადდა. მოსამართლე მამუკა სონღულაშვილმა შაბათს მიღებული გადაწყვეტილება გუშინ გამოაქვეყნა. როგორც გითხარით, მან ადვოკატთა შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

გენერალური პროკურატურის მიერ იარაღისა და სხვა მძიმე ტექნიკის უკანონოდ ტარება-შეძენასა და სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიის ბლოკირებაში ბრალდებულ ვეტერან გვარდიელებს დანაშაული თუ დაუდასტურდათ, მათ ხუთ წლამდე პატიმრობა ელით.

დაპატიმრებულ ვეტერან გვარდიელთა ოჯახის წევრები უახლოეს დღეებში საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავენ.

# რადიაქტიულ ნივთიერებებს, რომელიც პოლიციამ აღმოაჩინა, ათასობით ადამიანის განადგურება შეეძლო

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ორი კვირის წინ სამართალდამცველებმა, დავითაშვილის ქუჩაზე ჩატარებული რეიდისას, ერთ-ერთი ტაქსის საბარგულში უცხოურწარწერებიანი ორი ყუთი და მინის ჭურჭელში მოთავსებული გაურკვეველი სითხე აღმოაჩინეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ საბარგულში დიდი რაოდენობის რადიაქტიული ნივთიერება იყო მოთავსებული. ეს ფაქტი კანონდამცველებმა დიდი მონდომებით გაასაიდუმლოეს და მხოლოდ გუშინ გაამჟღავნეს. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროში საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე, მომხდართან დაკავშირებით, ამომწურავი ინფორმაციის გაცემა კანონდამცველებმა ვერ მოახერხეს. საიდან მოხვდა თბილისში რადიაქტიული ნივთიერებები, რისთვის უნდა გამოყენებულიყო ან სად უნდა გამოყენებულიყო, ამ კითხვებზე პასუხებს სამართალდამცველები მხოლოდ ვარაუდის დონეზე იძლევიან. თავად ფაქტის გაუხმაურებლობის მიზეზად კი იმ ექსპერტიზას ასახელებენ, რომელიც აღმოჩენილ ცეზიუმ-137-ს, სტრონციუმსა და მომწამლავ აირს, ეგრეთ წოდებულ იპრიტს ჩაუტარდა.*



ამომწურავი ინფორმაციის გაცემა კანონდამცველებმა ვერ მოახერხეს.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ცეზიუმ-137 - 5 კიურის, ხოლო სტრონციუმი 12 კიურის აქტივობის იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი გავრცელებისა და გაჟონვის შემთხვევაში, 500 მეტრის რადიუსში ყველა ცოცხალი ორგანიზმი მოისპობოდა. რაც შეეხება მინის ჭურჭელში მოთავსებულ ნივთიერებას - დადგინდა, რომ სითხე, სავარაუდოდ, ნერვული დამბლის გამომწვევი ნივთიერებაა და იპრიტის სახელწოდებითაა ცნობილი.

**"საქართველოში ამგვარი ნივთიერების წარმოება არ ხდება. ის შემოტანილია და არ არის გამორიცხული, რომ ე.წ. "ბინძური ბომბის" დასამზადებლად გამოიყენებოდეს,"**- აცხადებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე. მინისტრისვე განმარტებით, საქართველოში არსებული ყველა რადიაქტიული ნივთიერება აღირიცხება და, აქედან გამომდინარე, აღმოჩენილი წყაროები იმპორტირებულია, საქართველოში არ მზადდება და ჩვენი ქვეყანა მხოლოდ ტრანზიტად არის გამოყენებული. "საიდან და როგორ იქნა შემოტანილი ეს ნივთიერებები, შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა გაარკვიონ, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ასეთი ბომბი საქართველოში არ მზადდება", - აცხადებს ჩხობაძე.

ერთი სიტყვით, რადიაქტიულ ნივთიერებებს, რომელიც პოლიციამ ორი კვირის წინ აღმოაჩინა, ათასობით ადამიანის განადგურება შეეძლო. რადიაქტიული ნივთიერების აღმოჩენის დღესვე, სისხლის სამართლის საქმე რადიაქტიული ნივთიერების შენახვისა და გადატანის მუხლით აღიძრა, თუმცა სამართალდამცველებს დაკავებული არავინ ჰყავთ. საქმეში მხოლოდ ეჭვმიტანილები ფიგურირებენ - ტაქსის მძღოლი და მისი მგზავრი, თედო მოქერია, რომლის ახსნა-განმარტებების თანახმად ირკვევა: ტვირთი მას ქობულეთში, საკუთარ სიმამრთან მიჰქონდა, ოღონდ ისე, რომ არ იცოდა, რა იყო ყუთებში მოთავსებული. ორივე ეჭვმიტანილი ამჟამად თავდებით არის გათავისუფლებული. მოკვლევა კი დასრულებულია და მასალები, შემდგომი ქვემდებარეობის განსაზღვრის მიზნით, გენერალურ პროკურატურას გადაეცა. ჯერჯერობით, არ არის დადგენილი იმ პიროვნებების ვინაობა, რომლისგანაც მოქერიამ რადიაქტიული ნივთიერებები მიიღო, არც ის, თუ საიდან შეიძლებოდა კონტეინერების გადმოტანა. **"ხშირად მოქალაქეებმა არ იციან, რას ინახავენ და რასთან აქვთ საქმე, უბრალოდ, თანხის მიღების მიზნით, სხვადასხვა ნივთიერების რეალიზებას ცდილობენ"**, - აცხადებენ სამართალდამცველები. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის განსაკუთრებული სიტუაციების შეფასებისა და ლიკვიდაციის სამმართველოს უფროსის, ლერი მესხის განცხადებით კი, სავარაუდოდ, საქართველოში ამგვარი კონტეინერები კიდევ უნდა იყოს. **"უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ამოღებულია 80-90 კომპლექტი მოწყობილობა, გაუვნებელყოფილია 250 კონტეინერი სამხედრო ნაწილებიდან. ერთი ამდენი, სავარაუდოდ, მოსახლეობაში ისევ არის",** – ამბობს ლერი მესხი.

პოლიციამ არ იცის, რა მოუხერხოს ორი კვირის წინ აღმოჩენილ რადიაქტიულ ნივთიერებებს. ტვირთი ამჟამად მცხეთაში, ყოფილი ატომური რეაქტორის ტერიტორიაზეა მოთავსებული.

# პოლიციელთა ტესტირება-გასაუბრება ისევ გადაიდო

სოფიკო ჩხაიძე

*ქართველ პოლიციელებს საგამოცდო მზადების გაგრძელების საშუალება მიეცათ. შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა გასაუბრება-ტესტირება, რომელიც პოლიციის რეფორმის ფარგლებშია ჩაფიქრებული, 25 ივლისამდე გადაიდო.*

როგორც ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სულ ცოტა, 10 წლის წინათ ჩაფიქრებული სრულმასშტაბიანი რეფორმის გატარებამდე კადრების საკითხის მოგვარებას აპირებს, რაც, სამინისტროს ხელმძღვანელობის აზრით, ტესტირების საშუალებით უნდა მოხდეს. ქართველი პოლიციელები წერილობითი გამოცდისთვის ვერ გაიმეტეს და მათი ცოდნის გამოსავლენად უფრო იოლი ხერხს მიაგნეს – გასაუბრებას, რომელზეც კომისიის წინაშე კითხვებზე პასუხის გაცემა შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა თანამშრომელს მოუწევს, მინისტრისა და მისი მოადგილეების გარდა. უცვლელი დარჩა გასაუბრების პროგრამაც - შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ საქართველოს კონსტიტუცია, საპროცესო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსები, კანონები პოლიციის და საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების შესახებ, საგზაო მოძრაობის წესები და საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები. გარდა ამისა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, გასაუბრებაზე გასულებს მოეთხოვებათ მეტ-ნაკლებად გამართული მეტყველების და მოქალაქეებთან ურთიერთობის უნარი.

გასაუბრებაზე მასობრივი "ჩავარდნის" თავიდან ასაცილებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ, თანამშრომელთათვის სპეციალური ლექციების კურსის ორგანიზება გადაწყვიტა. პოლიციელებს ლექციებს ცნობილი ქართველი იურისტები უტარებდნენ. სხვათა შორის, სწორედ სწავლების პროცესის გაჭიანურებამ გამოიწვია გასაუბრებების დაწყების გადადება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ტესტირება-გასაუბრების პროცესის დაწყება თავდაპირველად მაისის ბოლოსთვის იყო ჩაფიქრებული, მერე ივნისის დასაწყისისთვის გადაიდო, ახლა კი, როგორც შევიტყეთ, უკვე დადგენილია, რომ პირველი გასაუბრება 25 ივლისს ჩატარდება. როგორც საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შოთა ასათიანი ამბობს, გაჭიანურების მიზეზი ის გახდა, რომ სალექციო კურსი დროულად ვერ დასრულდა.

**"ქვეყანაში არსებული დაძაბულობის გამო, ხშირად პოლიციელების სააქტო დარბაზში შეყვანა და ლექციებზე დასწრება ვერ ხერხდება. შესაბამისად, მოხდა ისე, რომ სალექციო კურსი ვერ დასრულდა. გასაუბრებაზე ხალხის ჩაჭრა რომ იყოს ჩვენი მიზანი, ამას არად დაგიდევდით, მაგრამ სინამდვილეში ჩვენი სურვილია, თანამშრომლების კვალიფიკაციის დონე ამაღლდეს"**, - ამბობს ასათიანი.

რამდენად ამაღლდება პოლიციელების კვალიფიკაცია და როგორი წარმატებით გაივლიან ისინი გასაუბრებას, ამას ფართო საზოგადოება მხოლოდ შედეგების გამოქვეყნების შემდეგ შეიტყობს – მოსამართლეებისა და პროკურორების გამოცდებისგან განსხვავებით, ტესტირების შესახებ დამტკიცებული დებულება გასაუბრებაზე ჟურნალისტების დასწრებას არ ითვალისწინებს.

## სან-რემოს ფესტივალის ორგანიზატორები კორუფციაში დაადანაშაულეს

სან-რემოს ცნობილი ფესტივალი სერიოზულ სკანდალში გაეხვია. საუბარია, ფესტივალის ორგანიზატორების მექრთამეობაზე. სამართალდამცველებისთვის ცნობილი გახდა, რომ ფესტივალის ორგანიზატორები წლების მანძილზე კონკურსანტებისგან 50 ათას ევროს იღებდნენ. იტალიის პოლიციამ ბლიც-ოპერაცია ჩაატარა სან-რემოსა და იტალიის სხვა ქალაქებში. პოლიციამ ასობით სახლი გაჩხრიკა და სამი ადამიანი დააპატიმრა. დაკავებულია ფესტივალის სიმღერის აკადემიის ხელმძღვანელი და მისი ცოლი, აგრეთვე, აკადემიის მენეჯერი. დაპატიმრებულები დადანაშაულებულნი არიან კორუფციასა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში.

## მაგადანის გუბერნატორის მკვლელობაში ბრალდებული დააპატიმრეს

რუსეთის შსს-მ მაგადანის გუბერნატორის ვალენტინ ცვეტკოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააპატიმრა. ასეთი განცხადება გააკეთა რუსეთის შს მინისტრის მოადგილემ რაშიდ ნურგალიევმა. მისი ინფორმაციით, დაპატიმრებულია ერევნელი არტურ ანისიმოვი, რომელსაც გუშინ განზრახ მკვლელობის ბრალდება წაუყენეს.

მაგადანის ოლქის გუბერნატორი ვალენტინ ცვეტკოვი 2002 წლის 18 ოქტომბერს მოსკოვში გამოასალმეს სიცოცხლეს. ცვეტკოვის მკვლელობის საქმის გამოძიება პირად კონტროლზე აიყვანა რუსეთის პრეზიდენტმა და სამართალდამცველებს მისცა დავალება, საქმე უმოკლეს ვადაში გამოძიებულიყო. თავიდანვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ გუბერნატორის მკვლელობა ფერადი ლითონების, კონკრეტულად, ოქროს ბიზნესში მომუშავეებმა შეუკვეთეს. ცვეტკოვის საქმეზე მუშაობისას, გამოძიებამ მკვლელობის საქმიდან რამდენიმე ახალი მსხვილი ფინანსური მაქინაციის საქმე გამოყო. საუბარია, ოქროს, თევზის ბიზნესსა და სხვა საქმეებზე.

რუსეთის შს მინისტრის ბორის გრიზლოვის განცხადებით, დადგენილია და გამოცხადებულია საერთაშორისო ძებნა მკვლელობის სხვა მონაწილეებზე. "გვაქვს სერიოზული ინფორმაცია, რომ გუბერნატორის მკვლელობა რუსეთის სახელმწიფო დუმის სავარძლებში მჯდომმა პირებმა შეუკვეთეს. მყარი მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ მათ გამოძიებასთან თანამშრომლობა მოუწევთ," – განაცხადა ბორის გრიზლოვმა.

## არგენტინაში გატაცებული რუსი დიპლომატი გათავისუფლებულია

არგენტინაში რუსეთის საელჩოს კულტურის განყოფილების თანამშრომელი ვასილი ბორისენკო, გუშინწინ საღამოს გაიტაცეს. ეკლესიიდან გამოსულ დიპლომატს, რომელიც თავის მანქანას მიუახლოვდა, თავს დაესხა სამი არგენტინელი ახალგაზრდა, პისტოლეტის მუქარით იგი თავის მანქანაში ჩასვეს და გაიტაცეს. გატაცებას შეესწრო რუსი ემიგრანტი, რომელმაც ინფორმაცია ეკლესიის მღვდელს მიაწოდა, ვისგანაც მომხდარის შესახებ შეიტყო პოლიციამ და გატაცებული დიპლომატის ცოლმა.

გატაცებიდან 45 წუთის შემდეგ გამტაცებლებმა რუსეთის საელჩოში დარეკეს და გამოსასყიდი მოითხოვეს. არგენტინის პოლიციამ რუსი დიპლომატის გათავისუფლება და გამტაცებელთა დაკავება მოახერხა.

## რუსეთი ტერორიზმის დამფინანსებლების წინააღმდეგ სანქციებს ამკაცრებს

ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ რუსი სამართალდამცველების მიერ დაწყებული სპეცღონისძიებების შედეგად, რუსეთის პროკურატურაში უკვე სისხლის სამართლის 196 საქმეა აღძრული.

რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ ვლადიმირ კოლესნიკოვმა გუშინ სახელმწიფო დუმის კომისიას, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ არსებული სანქციების კიდევ უფრო გამკაცრებაზე მუშაობს, რუსეთში მოქმედი ტერორისტების დამფინანსებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

გენერალური პროკურორის მოადგილის განცხადებით, ტერორიზმის დაფინანსების ძირითადი წყაროა მსოფლიო ისლამური ტერორისტული ორგანიზაციები. ვლადიმირ კოლესნიკოვმა რამდენიმე ორგანიზაციაც დაასახელა, მათ შორის - "ძმები მუსულმანები", "ალ-ხარამეინი", "ისლამისტთა გაერთიანება" და სხვები. რუსეთის გენერალური პროკურორის განცხადებით, დადგენილია 16 საერთაშორისო ფონდი, რომლებმაც ტერორისტებს სოლიდური ფინანსური დახმარება გაუწიეს. დადგენილია ასევე იმ ოთხი ბანკის კოორდინატები, რომლებმაც საბანკო ოპერაციები განახორციელეს. ვლადიმირ კოლესნიკოვის განცხადებით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას, ტერორისტული ორგანიზაციების დამფინანსებლებს სერიოზული ომი უნდა გამოეცხადოთ. მან სახელმწიფო დუმას ამ მიმართულებით სამართლებრივი სანქციების გამკაცრება მოსთხოვა.

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისის №5 საპყრობილის თანამშრომლებმა ერთ-ერთი პატიმრისათვის განკუთვნილი ამანათიდან 14 გრამამდე ჰეროინი ამოიღეს. ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც 14 „ბაშად" იყო დაფასოებული, მოთავსებული იყო ერბოში. საპყრობილის თანამშრომლებმა ადგილზე დააკავეს ამანათის მომტანი, 42 წლის მარნეულელი მურად ქველაძე, რომელიც აცხადებს, რომ მან ამანათში ნარკოტიკული ნივთიერებების არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კოდორის ხეობაში გაერო-ს მისიის წევრთა გატაცებას საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე "ზოგიერთის გულარხეინობის შედეგად" მიიჩნევს და სამომავლოდ მსგავსი ინციდენტების აღსაკვეთად ახალი საპროცესო კოდექსის მიღების დაჩქარებას მოითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კონტროლის პალატამ ჩატარებული შემოწმებების საფუძველზე დევნილთა შემწეობების მიმღებ დევნილთა სიებში 2 ათასზე მეტი ისეთი პირი გამოავლინა, რომელთაც გაორებული პირადი ნომრები აღმოაჩნდათ. ამასთან, სიებში დაფიქსირებული პირადი ნომრები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სარევიზიო საპასპორტო სამსახურს სულ სხვა პირებისათვის ჰქონდა მინიჭებული. შემოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ ამ პირებზე 232 ათას ლარზე მეტი თანხა გაიცა.

კონტროლის პალატის შემოწმების მასალები საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქსნის №7 კოლონიის ხელმძღვანელობის მიმართ საგანგებო ლეგიონმა გადასახადებისთვის თავის არიდების გამო სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ქსნის №7 კოლონიის ხელმძღვანელობამ 1999-2002 წლებში ბიუჯეტში 175 ათას 165 ლარის გადახდას აარიდა თავი. კოლონიას სულ, სანქცია-საურავების გათვალისწინებით, 430 ათას 749 ლარი დაერიცხა. სისხლის სამართლის საქმე საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის მიზნით საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს შპს „კა-დე-კა ენდ კომპანის" ყავის დამფასოებელი საამქროს ტექნოლოგი, თბილისში მცხოვრები, 30 წლის ანდრო ზალიანი, რომელიც თბილისში მდებარე სააქციო საზოგადოება „ბაკალეიას" ტერიტორიაზე განთავსებულ ყავის დამფასოებელ საამქროში ფალსიფიცირებულ ყავა „რიოს", „ორიგინალის", „პრემიერის" და „არაბიკას" წარმოება-რეალიზაციას ეწეოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა „ეი-ი-ეს თელასის" ფინანსური დირექტორის გიორგი გვიჩიანის პატიმრობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება, რომელიც ვაკე-საბურთალოს სასამართლომ მიიღო, საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. საოლქო სასამართლო გვიჩიანის პატიმრობის საკითხს 72 საათის ვადაში განიხილავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის სამოქალაქო კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანას ემსახურება იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილებების პროექტი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონში. იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედებისა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის გიორგი გოგიბერიძის განცხადებით, კანონპროექტით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება ახლებურად ყალიბდება.

კანონპროექტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაციას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, რეგისტრაციაში ატარებს ფონდებს, შემოქმედებით კავშირებს, პოლიტიკურ გაერთიანებებს და აწარმოებს მათ სახელმწიფო რეესტრს.

კანონპროექტი განსახილველად მთავრობას უახლოეს დღეებში გაეგზავნება. **მედია-ნიუსი**

სს გალტ & თაგგარტ სქიურითის
JSC GALT & TAGGART SECURITIES

**კორპორატიული ფინანსები**
**თეორია, ანალიზი, პრაქტიკა**

ტელ: (995 32) 235 800
ფაქსი: (995 32) 235 804
www.galtandtaggart.ge

# საქართველოს კაპიტალის ბაზარი

**გასულ კვირას "გალტ ენდ თაგგარტ" ბლუ ჩიპ ინდექსი (GTBCI) ლარის გამოსახულებაში 4.79%-ით შემცირდა,** მცირე - 9.1 ათასი ლარი - მოცულობის ვაჭრობის შედეგად. საქართველოს საფონდო ბირჟაზე (სსბ) გაყიდული ხუთი პირველი რიგის (ბლუ ჩიპ ინდექსში შემავალი) აქციის ჯამურმა ბრუნვამ ბირჟის მთელი მოცულობის 60% შეადგინა.

საქართველოს ბანკის (GEB) აქციის ფასი კვირის ბოლოსათვის 1.3 ლარით განისაზღვრა, ანუ ბოლო სამი თვის მანძილზე არ შეცვლილა. ჩვენი აზრით, GEB-ის ღირებულება, რომელიც 2003 წლის პროგნოზული (გალტ ენდ თაგგარტის) მაჩვენებლების მიხედვით 1.62 ფასი/მოგება და 0.25 ფასი/საბალანსო ღირებულება კოეფიციენტებით იყიდება, ბაზარზე ლიკვიდურობის დეფიციტს უფრო ასახავს, ვიდრე კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების რაიმე სისუსტეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ აქციის რეალური ფასი, დაახლოებით, 2.5 ლარია.

გაერთიანებული ქართული ბანკის (UGB) აქცია ზედიზედ, ორი კვირის განმავლობაში გაიყიდა და მისი ფასი 13.9%-ით შემცირდა. ასეთი ვარდნის მიუხედავად, რომელიც GTBC ინდექსის კლების მიზეზი იყო, UGB მაინც ძვირად შეფასებული რჩება, ვინაიდან ეს აქცია 2003 წლის პროგნოზული მაჩვენებლების მიხედვით 4.43 ფასი/მოგება და 0.53 ფასი/საბალანსო ღირებულება კოეფიციენტებით იყიდება.

**"ეი-ი-ეს თელასის" (AEST) აქცია წელს პირველად გაიყიდა და მის ფასმა 40%-ით მოიმატა. ვაჭრობის მოცულობამ მხოლოდ 21 ლარი შეადგინა.**

ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს თელასის 75% წილის, რომელსაც ამერიკული AES კორპორაცია ფლობს, მოსალოდნელ გაყიდვას. ბაზარზე გავრცელებული ინფორმაცია ადასტურებს ჩვენ მოსაზრებას, რომელიც 24 მარტის მიმოხილვაში იყო გამოთქმული, იმის შესახებ, რომ რუსული RAO UES უკვე საკმაოდ წინ არის წასული AES კორპორაციასთან თელასის წილის ყიდვასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში. ამ გარიგების დასრულება ამა წლის სექტემბრისათვის არის ნავარაუდევი, თუმცა არსებითად იქნება დამოკიდებული თელასის დავალიანების რესტრუქტურიზაციის საკითხზე. თელასის აქციათა დანარჩენი ნაწილი საქართველოს მთავრობის (24.9%) და წვრილი აქციონერების მფლობელობაშია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა RAO UES-ს არ ავალდებულებს, ყიდვის შესახებ შეთავაზება მინორიტარულ აქციონერებს გაუკეთოს. შესაბამისად, შეთავაზებული გარიგებიდან სარგებლის მიღება მხოლოდ AES კორპორაციას შეუძლია, რაც კიდევ ერთხელ ტოვებს მინორიტარულ აქციონერებს თამაშგარე ისე, როგორც ეს საქართველოში ადრე განხორციელებული საკონტროლო პაკეტის გაყიდვის ტრანზაქციების დროს ხდებოდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით RAO UES-ის შესაძლო ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას, გაუკეთოს ყიდვის შეთავაზება მინორიტარულ აქციონერებს იმავე ან უფრო უკეთესი პირობებით, ვიდრე AES კორპორაციას. ასეთი ჟესტი არა მარტო აამაღლებს RAO UES-ის ბიზნეს-რეპუტაციას, არამედ ზოგადად ბაზრისათვის კარგი მაგალითიც იქნება. იმ შემთხვევაში, თუ RAO UES ასე არ მოიქცევა, მაშინ ჩვენ თელასის სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან მოველით, რომ ის შეასრულებს მინორიტარული აქციონერების მიმართ არსებულ ვალდებულებას და საინვესტიციო ბანკს შესაბამისობის მოსაზრების (fairness opinion) მოსამზადებლად დაიქირავებს.

**126-დღიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წლიური 49.72%-ით განისაზღვრა.** ჩვენი მოლოდინის შესაბამისად, მთავრობამ შეინარჩუნა კონსერვატორული საემისიო პოლიტიკა და ემისიის მოცულობა რეფინანსირებისათვის საჭირო თანხით განსაზღვრა. აუქციონზე ხუთი მილიონი ლარის მოცულობის 126-დღიანი ვალდებულებები იქნა გამოტანილი. საქართველოში სავალუტო ფონდის პროგრამის აღდგენასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო, სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე მოთხოვნის თანდათანობითი შემცირება ადვილი მოსალოდნელი იყო. აუქციონზე წარდგენილი 85 განაცხადის ჯამურმა ღირებულებამ 6.4 მლნ ლარი შეადგინა და დაგეგმილ ემისიას მხოლოდ 1.4 მლნ ლარით გადააჭარბა. აუქციონზე დაკმაყოფილებული განაცხადების განაკვეთები წლიური 42.0%-დან 53.25%-მდე იცვლებოდა. აღსანიშნავია, რომ ინვესტორებმა გააგრძელეს მაღალი პრემიის მოთხოვნა, რაც განაკვეთების ქვედა ზღვრის მატების შენარჩუნებაში აისახა. მთავრობამ საშუალო განაკვეთის ზრდა, რომელიც წინა კვირას იმავე ვადიანობის ფასიანი ქაღალდის განთავსებასთან შედარებით, მხოლოდ 61 საბაზისო პუნქტით გაიზარდა, ემისიის შეზღუდვით შეძლო.

მომავალ ოთხშაბათს 6.0 მლნ ლარი მოცულობის სახაზინოები იფარება. ჩვენი აზრით, შემდეგი რამდენიმე კვირის მანძილზე სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები სავალუტო ფონდის პროგრამის შესაძლო შეწყვეტა და საპარლამენტო არჩევნები იქნება. მთავრობას ზომების მისაღებად ერთთვიანი პერიოდი გააჩნია, რათა განაკვეთების რეგულირება შეძლოს. იმ შემთხვევაში, თუ სავალუტო ფონდის მისია ამ თვის ბოლოს უარს განაცხადებს პროგრამის გაგრძელებაზე საქართველოში, ეს ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს, რადგან მსოფლიო ბანკის დახმარების გაგრძელება და პარიზის კლუბში ვალების გადავადება სავალუტო ფონდის პოზიციაზეა დამოკიდებული. ეს მოსაზრება მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ვაშინგტონში გამართულ შეხვედრაზე გამოთქვეს. საგარეო ვალების გადავადებაზე უარი კი, ავტომატურად გამოიწვევს დეფოლტს საქართველოს საგარეო ვალდებულებებზე. მართალია, დეფოლტი საქართველოს სახაზინო ვალდებულებებზე არ არის მოსალოდნელი, მაგრამ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ზემოთხსენებული პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, ლარის დევალვაციის რისკი მნიშვნელოვნად გაიზრდება. შედეგად, სახაზინო ვალდებულებებზე განაკვეთების საგრძნობი ზრდა ძნელი ასაცილებელი იქნება, მაშინაც კი, თუ მთავრობა კონსერვატორულ საემისიო პოლიტიკას შეინარჩუნებს.

*ლექსო ლიპარტელიანი*
*საინვესტიციო-საბანკო დეპარტამენტის თანათავმჯდომარე კაპიტალის ბაზრების დარგში*

**გალტ ენდ თაგგარტის ბლუ ჩიპ ინდექსის (GTBCI) შემადგენელი კომპანიები**

| კომპანია | კოდი | ფასი (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | 0.70 | 56,803,520 | 0.2 |
| გაერთიანებული ქართული ბანკი | UGB | 0.62 | 13,020,000 | 35.0 |
| საქართველოს ბანკი | GEB | 1.30 | 13,000,000 | 37.0 |
| ბაგრატიონი 1882 | BAGR | 1.20 | 8,896,302 | 2.3 |
| ყაზბეგი | KAZB | 2.00 | 5,600,000 | 14.3 |
| [illegible] | UTB | 1.00 | 1,966,030 | 5.0 |
| [illegible] | SQMP | 6.51 | 1,615,580 | 5.7 |
| რუსთავცემენტი | RUCE | 0.50 | 790,480 | 0.5 |
| სულ | | | 101,689,430 | 100 |

# საინვესტიციო საბანკო საქმიანობა


*საქართველოში საინვესტიციო საბანკო მომსახურება ჯერ უცხო ხილია.*

დღეს "გალტ ენდ თაგგარტ სექიურიტი" (G&T) საინვესტიციო საბანკო ინდუსტრიას წარმოადგენს. ტერმინი საინვესტიციო საბანკო საქმიანობა - კაპიტალის (ფულადი სახსრების) მოზიდვის პროცესს აღნიშნავს. კაპიტალის მოზიდვას საინვესტიციო ბანკები ახორციელებენ მათი კლიენტი კომპანიების დავალებით, რომელთაც შემდგომი ზრდისა და განვითარებისთვის კაპიტალი სჭირდებათ. საინვესტიციო ბანკების მეშვეობით, კომპანიები მათ მიერ გამოშვებულ სხვადასხვა ტიპის ფასიან ქაღალდს ყიდიან კერძო თუ ინსტიტუციურ ინვესტორებზე და ამ გზით მოზიდულ კაპიტალს ბიზნესის შემდგომ განვითარებაში აბანდებენ. მომსახურების სრული სპექტრის მქონე საინვესტიციო ბანკი მოიცავს შემდეგ ძირითად ფუნქციურ ერთეულებს :

**კორპორატიული ფინანსების ჯგუფი** – ახორციელებს საკონსულტაციო და აღმასრულებელ მომსახურებას შერწყმისა და შეძენის (ორი კომპანიის, ან ერთი კომპანიის მიერ მეორის) და ანდერრაიტინგის (განმარტება იხილეთ ქვემოთ) პროცესში. პირველ შემთხვევაში, საინვესტიციო ბანკი დამქირავებელი კომპანიისათვის ახდენს შესაძენი კომპანიის ღირებულების შეფასებას, გეგმავს შეძენისა თუ გაერთიანების პროცესს ეკონომიკური, იურიდიული, საბუღალტრო და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ეხმარება დამქირავებელ კომპანიას მოლაპარაკებების პროცესის წარმოებაში, ახორციელებს გარიგების მიმდინარეობის მონიტორინგს. მეორე შემთხვევაში, საინვესტიციო ბანკი წარმართავს კაპიტალის მოზიდვის პროცესს დამქირავებელი კომპანიისათვის, რომელიც მოიცავს (თუმცა, არ შემოიფარგლება) შემდეგი კომპონენტებით: ოპტიმალური ფინანსური ინსტრუმენტის შერჩევა (მაგალითად, სააქციო თუ საობლიგაციო კაპიტალი), ინსტრუმენტის ღირებულების შეფასება, მოლაპარაკებების წარმოება პოტენციურ ინვესტორებთან და კაპიტალის მოზიდვის პროცესთან დაკავშირებული სხვა ნიუანსების ზოგადი ზედამხედველობა.

**გაყიდვების ჯგუფი** – ამყარებს და ავითარებს საქმიან ურთიერთობებს კერძო და ინსტიტუციურ ინვესტორებთან, მათთვის ფასიანი ქაღალდების და მათთან დაკავშირებული რჩევების მიყიდვის მიზნით.

**თრეიდერები** – ახორციელებენ ფასიანი ქაღალდების და სხვა ინსტრუმენტების, მაგალითად, ვალუტის ყიდვა-გაყიდვას საკუთარი ორგანიზაციის ან დამქირავებელი ფიზიკური თუ იურიდიული პირის ანგარიშზე. თრეიდერების ამოცანაა, იყიდონ ესა თუ ინსტრუმენტი შედარებით იაფად და შემდეგ, შედარებით უფრო მაღალ ფასში გაყიდონ.

**საბაზრო კვლევების ჯგუფი** – აანალიზებს სხვადასხვა კომპანიებისა და ინდუსტრიების განვითარების დინამიკას, რის საფუძველზეც იძლევა რეკომენდაციებს ამა თუ იმ ფასიანი ქაღალდის შეძენისა თუ გაყიდვის მიზანშეწონილობაზე. ამ ჯგუფის წევრები, ანალიტიკოსები, როგორც წესი, ერთ ან რამდენიმე, მაგალითად – თამბაქოს წარმოებასა ან ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაზე სპეციალიზირდებიან. თუმცა, არის შემთხვევებიც, როდესაც ერთი ანალიტიკოსი ინდუსტრიების ფართო სპექტრს ფარავს.

საინვესტიციო ბანკების ქართულ ანალოგს საბროკერო კომპანია წარმოადგენს, თუმცა, დღეს ბაზარზე არსებული საბროკერო კომპანიების უმრავლესობა მხოლოდ აქციების ყიდვა-გაყიდვის პროცესში საშუამავლო ფუნქციებით შემოიფარგლება.

დღეისათვის საქართველოში მომსახურების სრული სპექტრის მქონე მხოლოდ ერთი საინვესტიციო ბანკია – "გალტ & თაგგარტ სექურიტის" (G&T). ფართო საზოგადოებისათვის უფრო კარგად ცნობილი საბანკო ინსტიტუტები, ყველა შემთხვევაში, კომერციულ და არა საინვესტიციო ბანკებს წარმოადგენენ. კომერციულ და საინვესტიციო ბანკებს, ძირითადი მისიის - კომპანიების და ფიზიკური პირების დაფინანსება და/ან დაფინასების მოპოვებაში ხელშეწყობა - მსგავსების მიუხედავად, ბევრი რამ განასხვავებთ. კომერციული ბანკების საქმიანობა გამარტივებული სახით ასე გამოიყურება: კომერციული ბანკები ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან იღებენ ფულად დეპოზიტებს, ხოლო შემოსულ თანხებს სხვადასხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე კრედიტის სახით გასცემენ. დეპოზიტზე გადახდილი პროცენტები მნიშვნელოვნად უფრო დაბალია, ვიდრე ის პროცენტები რომლებსაც ბანკები ითხოვენ გაცემულ კრედიტებზე. ეს განსხვავება საპროცენტო განაკვეთებს შორის კომერციული ბანკის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. ქვეყნებში, სადაც კაპიტალის ბაზრები განუვითარებელია, მაგალითად - საქართველოში, კომერციული ბანკები დაფინანსების თითქმის ულტერნატივო წყაროს წარმოადგენენ. ასეთ ქვეყნებში კომერციული ბანკებს აქვთ ყველა შესაძლებლობა, შეამცირონ დეპოზიტზე გადახდილი პროცენტი და პირიქით, გაზარდონ პროცენტი, რომელსაც ისინი ითხოვენ კრედიტისთვის. რეალურად, ეს ასეც ხდება და ასეთი პრაქტიკა არა მარტო ამცირებს ბანკების მიმზიდველობას დეპოზიტების განთავსების თვალსაზრისით, რაც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აიძულებს, ფულის ბანკში განთავსებას თავი აარიდოს, არამედ ასევე შეუძლებელს ხდის კომპანიებისთვის კრედიტის გამოყენებას. ეს, თავის მხრივ, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამ მდგომარეობას გარკვეულწილად ამსუბუქებს კომერციულ ბანკებს შორის კონკურენცია, თუმცა დაფინანსების ალტერნატიული წყაროების არსებობის გარეშე, საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთები არასოდეს მიაღწევს იმ ზღვარს, როცა საბანკო კრედიტის გამოყენება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომლებიც კაპიტალის ამ ფორმის ძირითადი მომხმარებლები არიან, ეკონომიკურად გამართლებული გახდება.

საინვესტიციო ბანკებს ზემოთაღწერილი პრობლემის გადაჭრაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ, თუმცა ამ ინდუსტრიის სტრუქტურული თვისებებიდან გამომდინარე, მათი მომსახურება, ძირითადად, საშუალო და დიდი კომპანიებისათვის არის მიზანშეწონილი. კომერციული ბანკებისაგან განსხვავებით, საინვესტიციო ბანკები დეპოზიტებს არ იღებენ. შესაბამისად, არ აქვთ ფულადი მასა, რომელსაც ისინი კრედიტის სახით გაასესხებდნენ. ამის ნაცვლად, საინვესტიციო ბანკები წარმოადგენენ შუამავლებს ფასიანი ქაღალდების ემიტენტებს (ფასიანი ქაღალდების გამომშვები კომერციული ან სახელმწიფო სტრუქტურა) და ინვესტორებს შორის. საინვესტიციო ბანკებს ყველა საჭირო ინტელექტუალური თუ მატერიალური რესურსი გააჩნიათ, რათა ნებისმიერი სხვა ტიპის კომპანიაზე ეფექტურად შეაფასონ კლიენტი კომპანიის საოპერაციო და საფინანსო საქმიანობა. ასეთი შეფასების შემდეგ, საინვესტიციო ბანკები გასცემენ რეკომენდაციებს იმის თაობაზე, თუ კაპიტალის ალტერნატიული ფორმებიდან რომელი იქნება ყველაზე იაფი და ეფექტური კორპორაციისთვის და ამის შემდეგ, კლიენტთან შეთანხმებით გეგმავენ და ახორციელებენ ფინანსური ინსტრუმენტების ემისიის და შემდგომი განთავსების (გაყიდვა) პროცესს.

სტატიაში მოცემული ინფორმაცია საინვესტიციო საბანკო ინდუსტრიის შესახებ მხოლოდ მიმოხილვითი ხასიათისაა და, შესაბამისად, ვერც ამომწურავი იქნება და ვერც იმ კითხვათა უმრავლესობას გასცემს პასუხს, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ჩვენი ვებ-გვერდი.

*გოგა ჯაფარიძე, საინვესტიციო საბანკო დეპარტამენტის თანათავმჯდომარე კორპორატიული ფინანსების დარგში*

*მონიტორინგი*

# მთავრობა მეცნიერებათა აკადემიას იბრიყვებს

ჩვენ უკვე შემოგთავაზეთ ცენტრალური ბიუჯეტის, სოციალური და საგზაო ფონდების ხუთი თვის შემოსავლების ანალიზი.

ვითარება კატასტროფულია და არ ჩანს, რომ მთავრობა მდგომარეობის გამოსასწორებლად ზომების მიღებას აპირებდეს.

საინტერესოა, რომ დავალიანებების გასტუმრებასაც კი მთავრობა, ძირითადად, ისევ ბიუჯეტის შესასრულებლად იყენებს.

ხუთ თვეში, წინა წლებში დაგროვილი დავალიანებების გასასტუმრებლად, გაწეული იქნა 14.87 მილიონი ლარის ოდენობის ხარჯი. აქედან სახელფასო დავალიანების დასაფარად დაიხარჯა 3.66 მილიონი ლარი, ხოლო სოციალურ ანარიცხებზე კი - 4.62 მილიონი ლარი, იმის მიუხედავად, რომ სოციალური ანარიცხები სახელფასო ფონდის მხოლოდ 31 პროცენტს შეადგენს.

საქართველოში ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა ხელფასები გაიცემოდა სოცანარიცხების გარეშე. ისეთი პერიოდებიც იყო, როცა ხელფასები გაიცემოდა სოცანარიცხებთან ერთად. **2003 წელს კი დაგვიდგა პერიოდი, როცა სოცანარიცხები გაიცემა ხელფასების გარეშე და თან ეს ყველაფერი ხდება წინასწარი გეგმის შესაბამისად.**

ჩვენ ვცადეთ ამ პრობლემაზე პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტისა და პოლიტიკური ძალების ყურადღება მიგვეპყრო, მაგრამ ჯერჯერობით, უშედეგოდ.

**საინტერესოა, თუ იციან მეცნიერებათა აკადემიის სისტემის თანამშრომლებმა, რომ მთავრობამ ფორმალურად დაფარა მათი სახელფასო დავალიანება 2.35 მილიონი ლარის ოდენობით? ეს არის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ოთხი (?!) თვის ხელფასი. სინამდვილეში მთავრობამ მეცნიერებს დაუფარა ერთი თვის სახელფასო დავალიანება (ისიც, როგორც ჩანს, შარშანდელი დეკემბრის ხელფასებია) და სამი თვის ხელფასების თანხა ბიუჯეტის შესასრულებლად გამოიყენა. ნუთუ, ეს საკითხი პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტისა და პოლიტიკური ძალების ყურადღებას არ იმსახურებს?**

ანალოგიური მდგომარეობაა სახელმწიფო უნივერსიტეტების დავალიანებების გასტუმრების საქმეშიც.

სამწუხაროდ, როგორც მოსალოდნელი იყო, მაისში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა და **ახალი ტენდენციების შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და დაფინანსებას წლის ბოლომდე 290 მილიონი ლარი დააკლდება.**

არსებული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში:

**ლტოლვილთა შემწეობებში, საპენსიო, სხვა სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებში (სოციალური ფონდიდან და ცენტრალური ბიუჯეტიდან) 2003 წელს დამატებით დაგროვდება დავალიანებები 80 მილიონი ლარის ოდენობით;**

**შრომის ანაზღაურებასა და რეგიონების ტრანსფერების (ანუ საშუალო სკოლის მასწავლებლების ხელფასების) დაფინანსებაში 2003 წელს დამატებით დაგროვდება დავალიანებები 60 მილიონი ლარის ოდენობით;**

**აგრარული პროგრამების დაფინანსებაში 2003 წელს დამატებით დაგროვდება დავალიანებები 10 მილიონი ლარის ოდენობით;**

**2003 წელს არ დაფინანსდება საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვა და სარგებლის პროცენტის მომსახურება 60 მილიონი ლარის ოდენობით;**

2004 წელს კი ამ დავალიანებებს მთავრობა ისევ ბიუჯეტის შესასრულებლად გამოიყენებს.

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

**დავალიანებების დაფარვის მდგომარეობა 1 ივნისისათვის**

| დასახელება | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

| დასახელება | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

**სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება**
ოპერატიული ინფორმაცია 16 ივნისისთვის

მლნ. ლარებში

| დასახელება | წლიური პროგნოზი | ხუთი თვის პროგნოზი | შესრულება | % წლიურ პროგნოზთან | % ხუთი თვის პროგნოზთან |
|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 1127.4 | 529.8 | 385.34 | 34% | 73% |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 833.7 | 385.09 | 275.72 | 33% | 72% |
| საგადასახადო შემოსავლები | 659.9 | 310.64 | 237.09 | 36% | 76% |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 78.4 | 36.16 | 29.54 | 38% | 82% |
| გრანტები | 95.4 | 38.3 | 9.09 | 10% | 24% |
| სოციალური ფონდი | 244.2 | 116.81 | 93.69 | 38% | 80% |
| საგზაო ფონდი | 49.5 | 24.05 | 16.17 | 33% | 67% |
| დეფიციტის დაფინანსება | 239.8 | 118.66 | 89.35 | 37% | 75% |
| [illegible] | 8.5 | 8.5 | 7.53 | 89% | 89% |
| სახაზინო ვალდებულებების შემოსავალი | 22 | 13.5 | 15.09 | 69% | 112% |
| [illegible] | 40 | 29.54 | 18.51 | 46% | 63% |
| [illegible] | | | 4 | | |
| პრივატიზაციიდან შემოსავალი | 41.5 | 9.51 | 4.32 | 10% | 45% |
| [illegible] | 127.8 | 57.61 | 39.9 | 31% | 69% |

| დასახელება | წლიური პროგნოზი | ხუთი თვის პროგნოზი | შესრულება | % წლიურ პროგნოზთან | % ხუთი თვის პროგნოზთან |
|---|---|---|---|---|---|
| საგადასახადო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 511.7 | 260.30 | 213.43 | 42% | 82% |
| საბაჟო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 389.1 | 181.04 | 122.34 | 31% | 68% |